

CTH 450 – HITTITE FUNERARY RITUAL *ŠALLIŠ WAŠTAIŠ*
 CTH 450 - ხეთური დაკრძალვის რიტუალი *šalliš waštaiš*

CHAREKISHVILI NINO

Professor, Dr.,

Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Address: Marie Brosse #2,

0108 Tbilisi, Georgia

Tel.: 598893399

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

Abstract: Hittite texts of funeral ritual, reached to us, mainly refer to the manner of upper-class representatives' burial. The article presents the first Georgian translation and comments of the text of the Hittite funeral ritual CTH 450. The royal burial ritual is known today as the *šalliš waštaiš* ritual. It is difficult to convey the content of the ritual texts in detail, because some plates are not well read due to damage, and some places are completely incomprehensible. These are basically incantation formulas, magical words spoken during a ritual, which had a divine, magical power for the Hittites and were not meant to be understood by ordinary mortals. We also meet some philological difficulties: Hittite words with still undetermined meaning, expressions exact translation of which is difficult, etc. Nevertheless, it is still possible to restore the general content of the ritual. The Hittite funeral ritual lasted 13 or 14 days, which included different ceremonies each day. Generally, Hittite funeral rituals are noteworthy a lot, as they preserve many important moments, to which can be found proper parallels with different regions of the ancient world, including the territory of old Kartvelian tribes' settlement.

Keywords: Assyriology, Hittites, Ritual, King, funeral, *šalliš waštaiš*.

ნინო ჩარეკიშვილი

პროფესორი, დოქტორი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

მის.: მარი ბროსეს #2,

თბილისი, 0108, საქართველო

ტელ.: 598893399

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: დაკრძალვის რიტუალის ხეთური ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ძირითადად ეხება მაღალი ფენის წარმომადგენელთა დაკრძალვის წესს. სტატიის სახით

წარმოდგენილია ხეთური დაკრძალვის რიტუალის CTH 450 ტექსტის პირველი ქართული თარგმანი და კომენტარები. სამეფო დაკრძალვის რიტუალი დღეს ცნობილია როგორც *šalliš waštaiš* რიტუალი. რიტუალის ტექსტების შინაარსის დაწვრილებით გადმოცემა ძნელია, რადგან ზოგიერთი ფირფიტა დაზიანების გამო კარგად არ იკითხება, ზოგიერთი ადგილი კი საერთოდ გაუგებარია. ესაა ძირითადად შელოცვის ფორმულები, რიტუალის ჩატარების დროს წარმოთქმული მაგიური სიტყვები, რომლებსაც ხეთებისთვის ღვთაებრივი, მაგიური ძალა ჰქონდათ და ისინი ჩვეულებრივი მოკვდავთათვის გასაგები არ უნდა ყოფილიყო. ასევე თავს იჩენს ფილოლოგიური ხასიათის სიმწელებები: გვხვდება ისეთი ხეთური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ჯერ კიდევ დაუდგენელია, არის გამოთქმები, რომელთა ზუსტი თარგმანი გაძნელებულია და სხვ. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება რიტუალის საერთო შინაარსის აღდგენა. ხეთური დაკრძალვის რიტუალი 13 ან 14 დღე გრძელდებოდა, რომელიც ყოველდღე სხვადასხვა ცერემონიებს მოიცავდა და აქედან გამომდინარე ტექსტებიც, რომელსაც მიჰყვება თარგმანი, დღეების მიხედვითაა დაჯგუფებული. საერთოდ დაკრძალვის ხეთური რიტუალები ძალზედ საყურადღებოა, რადგან მასში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი, რომლებსაც შეიძლება სათანადო პარალელები მოეძებნოს ძველი სამყაროს სხვადასხვა რეგიონთან, მათ შორის, ძველ ქართველურ ტომთა განსახლების ტერიტორიაზეც.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, ხეთები, რიტუალი, მეფე, დაკრძალვა, დაკრძალვის რიტუალი.

შესავალი: ბოლანჯიის ლურსმნული ტექსტების არქივში არსებულ მრავალრიცხოვან ტექსტებს შორის არის დაკრძალვის რიტუალის ამსახველი ტექსტებიც. დაკრძალვის რიტუალის ყველა ტექსტი, ტრანსლიტერაციებითა და გერმანული თარგმანით 1958 წელს გამოსცა ჰ. ოტენმა.¹ იგი დაკრძალვის რიტუალის ტექსტების შინაარსს არაერთ ნაშრომებში ეხება.² ამ ტექსტებით შემდგომ სხვა მეცნიერებაც დაინტერესდნენ.³ ტექსტები დღეების მიხედვით შემდეგნაირადაა დაჯგუფებული:

1-2 დღე: A. KUB 30.16 + KUB 39.1 + KUB 30.18 + KUB 39.3 + KUB 30.23 + KUB 39.13 + KBo 41.90 + KBo 41.92 + KBo 40.348. [ასლი: B. KUB 39.2 (I = A I 3-13); C. KUB 12.22 (I = A I 16 ff.; II = 10 ff.); D. KBo 13.143 (II! = A II 13 ff.; III! = A III 11'ff.)]

2 დღის დასასრული: A. KBo 25.184. ასლი: B. KUB 39.22 (Vs.! II 4' = A II 1); C. KUB 39.48 (A III 15ff.); D. KUB 39.29

3 დღე: A. KUB 30.15 + KUB 32.111 + KUB 39.11 + KUB 39.19 + KBo 41.26 (+) KUB 39.12 . [ასლი: B. KUB 12.48 (Vs. II? 3ff = A Rs. 1" ff.); C. KBo 34.55 (=A Rs. 4" ff. = B Vs. 6 ff.)]

4 დღე: KUB 39.9

¹ Otten, 1958a.

² Otten, 1959; Otten, 1958b; Otten, 1962; Bittel, u.a. 1958:81-84.

³ Gurney, 1966; Klengel, 1970:155-164; 1962; Christmann-Franck, 1971; Haas, 1994: 219-29; 1995: 2023-7; Kassian, u.a 2002; Rutherford, 2007; Kapelus, 2010.

5 დღე: ?¹

6 დღე: ?

7 დღე: A. KUB 30.25 + KUB 34.68 + KUB 39.4 + KBo 41.117 . [ასლი: B.KUB 39.5 + KBo 40.265 (A Vs. 22 ff.); C. KUB 39.25 (= A Vs. 34 ff.; = B Rs. 1 ff.); D. KUB 39.44 (= B Rs. 19 ff. = A Rs. 17 ff.)]

8-9 დღე: A. KUB 30.24 + KBo 39.292 + KUB 30.24a + KUB 34.65 + KUB 39.35 + KBo 34.56 + KBo 34.66. [ასლი: B.KUB 39.37 + KUB 39.38 + KUB 39.39 + KUB 39.40 + KUB 39.36 = A I 1", I 6", I 24", II 4-11, II 22-39]

10 დღე: A. KUB 39.10. [ასლი: B. HFAC 14 (A I 1 ff.)]

10-11 დღე: KUB 39.14 + KBo 40.178 + KBo 40.311 + KUB 39.33 + KBo 39.34

12-13 დღე: A. KUB 30.19 + KUB 30.20 + KUB 30.21 + KUB 30.22 + KUB 34.66 + KUB 39.7 + KBo 34.57 + KBo 38.173 + KBo 39.148 + KBo 40.22. [ასლი: B1. KUB 39.8 + KBo 34.58 + KBo 39.291; B2. KUB 39.8 + KBo 39.14; C. KUB 39.26; D. KBo 39.290]

სამეფო დაკრძალვის რიტუალი დღეს ცნობილია როგორც *šalliš waštaiš* რიტუალი.² გამოთქმა „*šalliš waštaiš*“ ნიშნავს „დიდ ცოდვას/უბედურებას“, მეფის ან დედოფლის სიკვდილის ევფემიზმს, რომელიც გამოყენებულია საწყის სტრიქონებში: „როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება ხდება, ან მეფე ან დედოფალი ღმერთი ხდება“. ტექსტში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ნაწილი: პირველი მოიცავს სხეულის კრემაციას; და მეორე – სხვადასხვა ტიპის მიკრო რიტუალებს, რომლებიც ფოკუსირებულია გარდაცვლილის ქანდაკებაზე. შესრულების ადგილი უნდა ყოფილიყო ხეტების დედაქალაქთან ან მის მახლობლად, მაგრამ ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის ნახსენები მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი აღნიშნავს კრემაციის ადგილს, „მარადიულ ადგილს“ და ასევე „ქვის სახლს“³, ანუ სამარხს, აკლდამას. თეო ვან დენ ჰოუტმა გამოყო რიტუალში ორი განზომილება, პირველი - მეფის ფიზიკური სხეული, მისი „ბუნებრივი სხეული“ და მეორე - ინსტიტუციონალური სხეული, „პოლიტიკური ორგანო“, რომელიც წარმოდგენილია ქანდაკებით.⁴

ტექსტის თარგმანი

¹ მეხუთე და მეექვსე დღეს ზუსტად რა ხდებოდა არ ვიცით. თუ CTH 450.II.1 (KUB 39.6); CTH 450.II.2 (KUB 39.45) ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ ამ დღეებში „დამშვიდება(რიტუალი)“ სრულდებოდა.

² დაკრძალვის რიტუალის *šalliš waštaiš* ტექსტის ფრაგმენტები შემდეგნაირად აქვს კაფელუმს დაჯგუფებული (Kapelus, 2008:454): 1/2 დღე: KUB XXX 16 + KUB XXXIX 1 (+) KUB XXX 18 + KUB XXXIX 3 (+) KUB XXX 23 + KUB XXXIX 13 + KBo XLI 90 + KBo XLI 92 + ? KBo XL348; KUB XXX 15 + KUB XXXIX 19 + KBo XLI 26 + KUB XXXII 111 + KUB XXXIX 11 (+) KUB XXXIX 12; 3/4/5 დღეები არ იკითხება; 6/7 დღე: KUB XXXIX 5 + KBo XL 265; KUB XXX 25 + KUB XXXIV 68 + KUB XXXIX 4 + KBo XLI 117; 8/9 დღე: KUB XXX 24 + KBo XXXIX 292 (+) KUB XXX 24a + KUB XXXIV 65 + KUB XXXIX 35 (+) KBo XXXIV 56 + KBo XXXIV 66 [(+?) KUB XXXIX 31]; 10/11 დღე: KUB XXXIX 14 + KBo XL 178 + KBo XL 311 (+) KUB XXXIX 33 + KBo XXXIX 34; 12/13 დღე: KUB XXX 19 + KUB XXX 20 + KUB XXX 21 + KUB XXX 22 + KUB XXXIV 66 + KUB XXXIX 7 + KBo XXXVIII 173 + KBo XXXIX 148 + KBo XL 22; KUB XXXIX 8 + XXXIV 58 + KBo XXXIX 291 + KBo XXXIX 14.

³ Rutherford, 2007:223-224.

⁴ van den Hout, 1994.

პირველი და მეორე დღე

წინ.მხ. I

- §1. 1.-2. როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება¹ ხდება, ან მეფე, ან დედოფალი ღმერთი ხდება²,
 §2. 3.-4. (მაშინ) ყველა, დიდი (და) პატარა, თავიანთ ლერწმის მილებს³ იღებენ და გოდებას იწყებენ.
 §3. 5.-7. (ხოლო) ღმერთი რომელ დღესაც ხდება, იმ დღეს ასე აკეთებენ: ერთ საგუთნე ხარს მისი სულის სადიდებლად მსხვერპლად სწირავენ.
 §4. 8.-12. და მას (ხარს) მის სასთუმალთან კლავენ, [და ა]სე ამბობენ: „როგორც შენ⁴ იქმენ,⁵ ის(იც)⁶ იმგვარად იქმნეს!⁷ და შენი სული ამ ხარში ჩაეშვას!“⁸
 §5. 13.-15. შემდეგ დოქით ღვინო მოაქვთ, და მას (ღვინოს) მის სულს მსხვერპლად სწირავენ. შემდეგ მას (დოქს) ამტვრევენ.
 §6. 16.-18. ხოლო როდესაც დაღამდება, ისინი გარდაცვლილზე ერთ ვაცს აქნევენ. და ასე ამბობენ:
 §7. 19. „[... დაე დაიჭირო]ს!“
 § 8'. 20.-21. [...], [...] ისინი.
 §9'. 22.-25. [...] მისი, [...] გზა, [...] ის, [...].
 §10'. 26.-34. და ის [...], ერთ ცხვარს გარდაცვლილის სულს მსხვერპლად სწირავს. და ისინი ქვემოთ კლავენ. მას მზარეულები [...] იღებენ. ხოლო როდესაც ყველა[ა ...], კარავს შლის. მოტირალი ქალები [...], [...] რჩება. და გოდებენ.

წინ.მხ. II

- §11". 35.-36. შემდეგ მას სასმელს აძლ[ევენ]. თუ ვერცხლის თას[იდან ...],
 §12". 37.-44. ხოლო სხვა თასი გამომწვარი თიხის [...], [...] დებენ. და [...], სახელი⁹ [...], როდესაც მას [...], შემდეგ მაგი[დის წინ ...], და მას [...], [...] გარდაცვლილს. [...].
 §13". 45.-47. და ამ დროს სასმელს ა[ძლევენ]. და (ის) ასე სვამს. [...].
 §14". 48.-51. შემდეგ იმ [დღეს ...], ისინი ღამეს ათევენ. [...], პირველი დღე [დასრულდა.]
 §15". 52.-53. პირველი ფირფიტა. (რიტუალი) არაა დას[რულებული. „როდესაც ხათუსაში] დიდი უბე[დურება ხდება“].
 §16". 54.-55. როდესაც ხ[ათუსაში დიდი უბედურება ხდება], ან მეფ[ე, ან დედოფალი ღმერთი ხდება].
 §17". 56.-59. (ამ) დღეებში ასე აკეთებენ: [...], [...] რომელ დღესაც ის ხდება, [...]⁹

¹ = მეფის, დედოფლის ან სამეფო ოჯახის სხვა წევრის გარდაცვალება.

² = გარდაიცვალა.

³ G¹/G^{1S} *ŠULPU* - საწრუპავი (ლერწმის მილი); G¹*ummiya*- (= G¹A.DA.GUR).

⁴ მიმართავენ გარდაცვლილს, მეფეს ან დედოფალს.

⁵ სიტყვ. გახდი (ღმერთი).

⁶ იგულისმება ხარი.

⁷ = მოკვდეს, სიტყვ.: გახდეს.

⁸ ოტენი თარგმნის: „und deine Seele laß zu diesem Rind hinab!“ (Otten, H.1958:19), კასიანი და კაპელუში თარგმნიან: „Release your soul [d]own into this ox!“ (Kassian – Korolëv – Sideltsev, 2002:47; Kapehús 2008); *tarna*- დატოვება, გაშვება, გათავისუფლება, მიტოვება; (რისიმე) უფლების, ნების მიცემა; *katta tarna*- ჩაშვება; ჩამოკიდება, გადმოკიდება. (ტატიშვილი, 2012:39). ვფიქრობ კონტექსტიდან გამომდინარე უნდა ითარგმნოს: *katta tarna*- ჩაშვება.

⁹ კასიანთან ამის შემდეგ ჩამატებულია Vs. II (KUB 12.22) C II 10'-13' და C II 17'-18' (Kassian, 2002:73). Vs. II (KUB 12.22): 10'. და ამ დღეებში ასე აკეთებენ: ღვთაებად, 11'. რომელ დღესაც ის ხდება [...] მისი

- §18^{'''}. 60.-66. [...] ისინი აძლევენ. [...] მიდის. და მათ მაგიდაზე [...], მერიქიფეს¹ გამომწვარი თიხის თასი მოაქვს. [...]. მას სასახლის მსახური გარდაცვლილის სულს აძლევს. [... დიდი] „იშთარის საკრავი“² (და) სქელი პური არ არის.
- §19^{'''}. 67.-73. [ხოლო] შემდეგ კი [ქალღმერთ მეცუ]ლას³ სადიდებელს სვამს.⁴ [მერიქიფეს] ორი ტკბილი უსაფუვრო [პური] მოაქვს. მას ტეხს,⁵ [და] შემდეგ [მას მაგიდაზე] დებს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) [მღერიან]. [დეკლამატ]ორები⁶ იძახიან „ახა!“ [სიტყვას] კი ჩურჩულებენ.
- §20^{'''}. 74.-80. [მერიქიფე კი] ოქროს თასს იღებს. შიდა ოთახში, რომელშიც გარდაცვლილი (არის), [ის აძლევს] მას (თასს) სასახლის მსახურს [ამ შიდა ოთახში.] სასახლის მსახური კი მას გარდაცვლილს აწვდის. შემდეგ მას საწოლის წინ ქვემოთ გამომწვარ თიხის თასში ასხამს. ოქროს თასს კი მერიქიფეს უბრუნებს. მათ ის (ოქროს თასი) გამოაქვთ.
- §21^{'''}. 81.-84. [შემდეგ] კი ამინდის ღვთაებისა (და) ქალაქ ციფალანდას ამინდის ღვთაების სადიდებელს სვამს. [მუსიკოს]ები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. [დეკლამატ]ორები იძახიან: „ახა!“ [სიტყვას] კი ჩურჩულებენ.
- §22^{'''}. 85.-90. [შემდეგ მას] (გარდაცვლილს) საწოლის წინ თასი [უჭირავს], შემდეგ მას, მერიქიფეს გამომწვარი თიხის [სხვა] თასი უჭირავს, ის მას ქვემოთ გამომწვარი თიხის თასში [ასხამს], მესუფრეს⁷ ორი ტკბილი უსაფუვრო პური [გარედ]ან მოაქვს, მათ ტეხს, შემდეგ მათ [მაგიდა]ზე დებს.
- §23^{'''}. 91.-95. [ამის შემდეგ] „მფარველი ღვთაების“ სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი [„იშთარის“ საკრავის“ (თანხლებით) [მღერიან]. [დეკლამატორ]ები იძახიან: „ახა!“ [სიტყვას] კი ჩურჩულებენ. სქელი პური ა[რ არის.]
- §24^{'''}. 96.-99. [შემდეგ კი ღვთაება ...] სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი [„იშთარის“ საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. [დეკლამატორ]ები იძახი[ან:] „ახა!“ [სიტყვას] კი ჩურჩულებ[ენ.]
- უკ.მხ. III**
- §25^{'''}. 100.-104. მერიქიფეს ერთი მჟავე სქელი პური გარედან მოაქვს, და მას სასახლის [მსახურს] აძლევს. ის მას ტეხს, და მას მერიქიფე(ებ?)ს უბრუნებს. და მას გამოაქვს.
- §26^{'''}. 105.-113. [შემდეგ] კი „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღის“ სადიდებელს სვამს. მ[უსიკოსები დიდი „იშთარის საკ]რავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატ[ორები იძახიან: „ახა!“] სიტყვას კი [ჩუ]რჩულებენ. [მერიქ]იფეს ერთი მჟავე სქელი პური გარედან მოაქვს, [და მას] სასახლის მსახურს აძლევს, ის მას ტეხს, [და მას] მერიქიფეს უბრუნებს, მას გამოაქვს.

ღმერთის [...], 12'. არ დღესასწაულობენ [...], 13'. და ის [...], 14'. და ცეცხლი [...], 15'. (ამ დღეებში ასე აკეთებენ: 16'. დასაწვავად [...], 17'. დილით კ[ი ...], 18'. [... ქ]ანდაკება [...], 19'. [...] ... [...]

¹ L^USAGI(A) / L^UQA.ŠU.DU₈(A) (= ŠĀQŪ(M)) – მერიქიფე

² არფის ტიპის სიმებიანი საკრავი.

³ D^UMe-iz-zu-ul-la

⁴ eku-/aku- (+ ღვთაება/ მიცვალებულის სული) სადიდებლის დალევა. (Tischler, 2008:13)

⁵ pars-, paršiya- (I, med.-pass.), paršai- (I), paršul(l)ai- (I) - (პურის, ყველის) გატეხა, დანაწევრება, დანამცეცება, დაქუცმაცება.

⁶ L^UALAM.ZU, L^UALAM.ZU₉, L^UALAM.ZU₉ - ჯამბაზი, მასხარა (?), დეკლამატორი (?) = ხათ. L^Uparšel (თუ L^Umaššēl)

⁷ L^UGIŠBANŠUR - L^Uzuluwe (ხათ.), მესუფრე

- §27¹. 114.-122. [შემდ]ეგ კი ისევ ღვთაება იცისთანუს¹ სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. [მერი]ქიფეს ერთი მჟავე სქელი პური გარედან მოაქვს, [და] მას სასახლის მსახურს აძლევს, ის მას ტეხს. [და] მას მერიქიფეს უბრუნებს, და მას ის გამოაქვს.
- §28¹. 123.-131. [შემ]დეგ კი მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. [მერი]ქიფეს ერთი მჟავე სქელი პური გარედან მოაქვს, [და] მას სასახლის მსახურს აძლევს, ის მას ტეხს, და მას მერიქიფეს უბრუნებს, მას (ის) გამოაქვს.
- §29¹. 132.-137. [შემდე]გ კი მისი (გარდაცვლილის) სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მუსიკოსები [დიდი] „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. [ერთ] ტკბილ პურს სასახლის მსახური ტეხს, და მას [კერის შიგნით „ჯარისკაცების პურზე“² დებს.
- §30¹. 138.-146. როგორც კი მისი სულის სადიდებელს სამგზის შესვამს, შემდეგ მერიქიფე თასს აქნევს გარდაცვლილისთვის. მუსიკოსები [დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დე]კლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. მერიქიფეს ერთი მჟავე სქელი პური გარედან მოაქვს, და მას სასახლის მსახურს აძლევს, ის მას ტეხს. და მას კერის შიგნით „ჯარისკაცების პურზე“ დებს.
- §31¹. 147.-153. [შემდ]ეგ კი მისი (გარდაცვლილის) სულის ზემოთ გამომწვარ თიხის თასს ატ[რი]ალებს, [მას] მი[წა]ხე ამსხვრევს. [და ის მოთქ]ვამს, [(მოტირალი ქალები) გოდებას იწ]ყებენ. შემდეგ მათ [გარეთ დევნიან.³] და (დალაქები) გვიან. [მოტირალ ქალებს ღვეზელს] აძლევენ.
- §32¹. 154.-163. ხოლო როდესაც დღე ხელსაყრელი გახდება, „*halantuwa!*“⁴ იძახის. [...], სასახლის მსახურს გარდაცვლილ[...], [...] მოაქვთ, და გამოხდილი ზეთი⁵ [...], [...] კარვის ქვეშ საწოლი [...], ის შიდა ოთახში შიგნით [...], [...] ხელები⁷ წყალი⁷ [...], [...] გარეთ [...].
- §33¹. 164. და მას [...].
- §34¹. 165.-178. შემდეგ კი [...]. და რა [...], (ისინი აძლევენ⁷) გარდაცვლილ[ს სასმელს⁷], (მაგრამ) საჭმელს ჯერ⁷ არ⁷ აძლევენ⁷ [...], [...], მესუფრეს მაგიდა მოაქვს, [...] აკეთებს. ერთ ნაჭერ პურს⁶ მიწის მზის ქალღმერთს, ერთ ნაჭერ პურს ცის მზის ღვთაებას, [ერთ ნაჭერ პურს] წინაპრებს,⁷ ერთ ნაჭერ [პურს „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“⁸] უდებენ. შემდეგ *sarama-*პურს⁹ [...], და ყოველი ღვთაებისთვის ერთ ხის [... დებს]. შემდეგ მერიქიფე ლითონის [სალიბაციო ჭურჭლით] ლუდს ყველგან სამჯერ სწი[რავს]. შემდეგ გარდაცვლილს საჭმელს(აც) ამგვარ[ად აძლევს], შემდეგ მას სასმელსაც სამჯერ აძ[ლევს], მესამე ჯერზე კი „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ [უხმობს.]

უკ.მხ. IV

¹ *Iz-zi-iš-ta-nu*

² NINDA.ÉRIN^{MES} – „ჯარისკაცების პური“

³ = გარეთ უშვებენ.

⁴ *halantuwa, halantiwa* (ხათ.) - სარიტუალო შეძახილი. (ტატიშვილი, 2017:223)

⁵ Ἰ.ΔΥΓ.ΓΑ - კარგი, ძვირფასი ზეთი

⁶ (NINDA) *parša-* (c.) - ნატეხი (პურის); (NINDA) *paršulli-/paršul-/paršiulli-* (n./c.) - ნაჭერი, ნამცეცი (პურის).

(ტატიშვილი, 2017:152-153, 162)

⁷ *huhhaš hannaš* - სიტყვ.: ბაზუა (და) ბეზია. (Tischler, 2008:42, 57).

⁸ ^DUD.SIG₅(.GA) - (ღვთაებრივი) სასიკეთო დღე. (ტატიშვილი, 2017:79).

⁹ ღვეზელი(?)

§35¹. 179.-184. და როდესაც [...], მუსიკოსი [...] ბარბითზე,¹ და [...], [...].

§36*. 185.-189. [...], პირდაპირ [...], გამომწვარ თიხის თასში ასხამს. [...] გარეთ გადასცემს. და მას [...].

§37*. 190.-192. ორ ტკბილ პურს და ერთ *takarmu*-პუ[რს ტეხს], და მიცვალებულის სულისთვის ორ ტკბილ პურს კერის შიგნით „ჯარისკაცების პურზე“ დებს, [...] ხოლო „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღისთვის“ ერთ *takarmu*-პურს „ჯარისკაცების პურზე“ დებს.

§38*. 193.-197. როდესაც ის ამ ღვთაებებს (მსხვერპლშეწირვით) ჩამოუვლის, [...(რიტუალი)] მთავრდება. და (მოტირალ ქალებს) საგოდებლად შიგნით უშვებენ, და გოდებას (შიგნით) იწყებენ. მეორე დღე დასრულდა.

§39*. 198.-199. მეორე დღის მეორე ფირფიტა. (რიტუალი) „როდესაც ხათის ქვეყანაში დიდი უბედურება ხდება“, არ დასრულებულა.

მეორე დღის დასასრული

წინ.მხ. I (KBo 25.184)

§1. 1.-7. [... თ]ასი?. [...]. [... ავლდა]მა?. [...].

§2. 8. -11. [...], [...] ის იღებს.

§3. 12. [...]

(დაზიანებულია)

წინ.მხ. II (KBo 25.184)

§1. 1. (B.II 4'-5'). [თუ კი ქალია] (დედოფალია გარდაცვლილი), (მაშინ) ქალის ინვენტარი შიგნით შეაქვთ.

§2. 2.-7 (B.II 6'-9'). მაშინ როდესაც ინვენტართან (დაკავშირებული მოქმედება) დასრულდება, [გარდაცვლილს] პირზე ოქროს „ტუჩსაფარს“², ხოლო თვალებზე, ოქროს „თვალსაფარს“ ადებენ. და მთავარი (ტრაპეზი) ცხადდება. დალაქები გვიან. სასახლის მსახურები გარდაცვლილს, [...] ოქროს თასს აძლევენ. მესუფრეები, გარდაცვლილს სუფრას უშლიან³. შემდეგ (მესუფრეები) პირველად (კერძს მაგიდაზე) დებენ.

§3. 8.-15. შემდეგ (მაგიდიდან) თასს იღებენ, და საწოლის წინ ქვემოთ, სადაც „ჯარისკაცების პური“ დევს იქ დებენ. პირველად (კერძს) იღებენ და ის გარეთ გამოაქვთ. შემდეგ კი მზარეულები ყველა წვნიან კერძს დებენ (მაგიდაზე). და ყველა(ნი) წვნიანი კერძიდან იღებენ. და (კიდევ ერთ) „ჯარისკაცების პურს“ დებენ (მაგიდაზე). და მათ (მაგიდას წვნიანითა და პურებით) იღებენ და ის გარეთ გამოაქვთ. მოტირალ ქალებს (საჭმელს) უნაწილებენ.

§4. 16.-22. და (გარდაცვლილს) სასმელს აძლევენ. პირველად ქალღმერთ თაურითის⁴ სადიდებელს სვამს. სქელი პური და დიდი „იშთარის საკრავი“ არაა. მის შემდეგ კი მზის ღვთაებისა (და) ქალღმერთ მეცულას სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. მესუფრე ორ ტკბილ უსაფუფრო პურს მაგიდიდან იღებს და მათ ტეხს, და მათ კვლავ მაგიდაზე დებს.

¹ G¹⁸TIBULA - ბარბითი

² *pūriyal-* (n.) - ოქროს თხელი ფირფიტა, რომელსაც დაკრძალვის რიტუალის დროს ტუჩებზე აფარებდნენ ცხედარს. (ტატიშვილი, 2017:194)

³ = სიტყვ.: მაგიდას უდგამენ

⁴ D *Taurit*

- §5. 23.-27. მის შემდეგ კი ამინდის ღვთაებისა (და) ქალაქ ციფალანდას ამინდის ღვთაების სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. [მესუფრე ორ ტკბილ უსაფუვრო პუ]რს მაგიდიდან იღებს და მათ ტეხს, და მათ კვლავ მაგიდაზე დებს.
- §6. 28.-30. [მის შემდეგ კი მფარველი ღვთაების სადიდებელს სვამს.] მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ანალოგიურადაა (პურთან დაკავშირებული მოქმედება).
- §7. 31.-35. მის შემდეგ კი [... ღვთაების] სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები „ახა!“ იძახიან. სიტყვას კი ჩურჩულებენ. მერიქიფეს მჟავე სქელი პური ჭიშკრიდან მოაქვს. მას ტეხს და მაგიდაზე დებს.
- §8. 36.- 38. მის შემდეგ კი „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღის“ სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“. სიტყვას კი ჩურჩულებენ. მერიქიფე მჟავე სქელ პურს ტეხს და გამოაქვს.
- §9. 39.-42. მის შემდეგ კი კვლავ ღვთაება იცისთანუს სადიდებელს სვამს. მუსიკოსები [დიდი] „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები „ახა!“ იძახიან. სიტყვას კი ჩურჩულებენ. მერიქიფე მჟავე სქელ პურს ტეხს და გამოაქვს.
- §10. 43.-46. [მის შემდეგ კი მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს სვამს.] მუსიკოსები [დიდი] „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები „ახა!“ [იძახიან. სიტყვას კი ჩურჩულებენ.] მერიქიფე [მჟავე სქელ პურს ტეხს და] გამოაქვს.
- §11. 47.-56. [მის შემდეგ კი მისი სულის სადიდებლად სამჯერ სვ]ამს. მუსიკოსები [დიდი] „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები „ახა!“ იძახიან. სიტყვას კი ჩურჩულებენ. [და ერთ ტკბილ სქელ პურს სასახლის მსახური ტეხს] და მათ კერაში [„ჯარისკაცების პურზე“ დებს]. ხოლო როდესაც მესამეჯერ მისი სულის სადიდებელს სვამს და როდესაც „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ უხმობს, (მაშინ) ის სქელ პურს არ ტეხს. [მერიქიფე კი ლითონის სალიბაციო ჭურჭელს მიწაზე ამტვრევს. [... ისინი] მისთვის ლოცულობენ. [...] შემდეგ აკეთებენ.
- §12. 57.-69. [...]. და მას ოქროს თასი, [...] გარდაცვლილს კოცნის. [...] ოქროს „თვალსაფარს“ ადებს. [... ერთი] ადამიანი მას ხელში მშვილდს [(და) ისრებს უდებს.¹ თუკი ქა]ლია დედოფალია გარდაცვლილი), მაშინ ჯარასა [(და) თითისტარს მას ხელში უდებს.] და მას ძვირფას სადღესასწაულო სამოსს [აძლევენ ...] სულის სადიდებლად 20 სიკლისას სვამს [...] დიდი სქელი პური უჭირავს. და ზემოდან [...] (სქელი პურის) ზემოდან კოთხუჯი,² საკმეველი,³ სასაკმევლე მცენარე⁴ დადებული. და მას (სქელ პურს) ღვთაების ქუვარნუცის⁵ (ქანდაკების) ხელში [ათავსებენ. ...] 20 სიკლისას აძლევენ. ერთი ადამიანი კი [...] ნიშნავს. და მას [...] აძლევენ.
- §13. 70.-74. [...] აკეთებს. თუკი ქალია (დედოფალია გარდაცვლილი) [...] აკეთებს. და მას ძვირფას სადღესასწაულო სამოსს აძლევენ. [...] დიდი სქელი პური (უჭირავს). და ზემოდან დიდი ყველი [...] (ღვთაება ქუვარნუცის) მუხლზე ტეხს. [...] დებს/იღებს.

¹ ალბათ როდესაც მამაკაცია გარდაცვლილი.

² (GI^S) *lazzai-*, *lazzi-* (c.) (= GI.DÜG.GA; *QANŪTĀBU*) - კოთხუჯი (ბოტ.) (laT. *Acorus calamus*), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ნიუკასებრთა ოჯახისა

³ GI^S *šahī-* (c.) - (= ხათ. *šahīš*), ღვთაებების მრისხანების დასაცხრობი სასაკმევლე ხე

⁴ GI^S *parnulli-* სასაკმევლე მცენარე

⁵ D *ku-wa-ar-nu-zi*

§14. 75.-76. [...] ურდულის ძელი, მუხა, [...] ლერწმის მილი.

უკ.მხ. III (KBo 25.184)

§1. 1.-6. [...] ხარეებს, 50 ცხვარს [კლავენ. ...] ერთ ნაკრებ ძვირფას სადღესასწაულო სამოსს [...] აბამენ. და ის ფრინველთ-მისანი¹ [...] ქვემოთ მუხასთან [...] და მას/ის [...] ასე ამბობენ:

§2. 7.-15. [..., რომელი საქმეც გიხარია, [...]“] სრულდება. და ასე [ამბობენ: „...“] საქმე ასე ხდება. [...] ვიღებ? და შენ მზის ღვთაებავ [...]“ [...] მუხა როდესაც [...] ადის. [...] და გლოვობს. [...], [...] არ არის.

§3. 16.-25'. (=C.2'-11'). [და ძვირფასი სადღესასწაულო სამოსი, ვერცხლის თასი,] ცოცხალი ჩიტები? [ბრინჯაოს დანას' ფრინველთ-მისნები იღებენ]. მუხას კი [ჭრიან. და მას კრემაციის ადგილზე] წვავენ. [ამის შემდეგ კი გრძნეული (ქალი) სახლში (აკლდამაში) შე]დის. და სახლში (აკლდამაში) [შიგნით გარდაცვლილის წინ კერ]აში [...] დებს]. [და მას კარიბჭიდან გარეთ გა]მოაქვს, სახლში კი [...] ცეცხლში წვავენ. [და ერთ ნაკრებ ძვირფას სადღესასწაულო ტანსაცმელს, ერთ ...], [...] ცეცხლში კი [...], [...] ამტვრევენ. [...]

§4. 26'.-31'. (დაზიანებულია).

§5. 32'.-38'. [...], [...] დაე გახდეს!? [...], [...].

§6. 39'.-48'. [...] წინ, [...], [...], [...] ამ]ლევენ. [...] შენთვის [...], [...] შემდეგ, [...], [...], [...] ძვირფას სადღესასწაულო სამოსს აძლევენ.

§7. 49'.-64'. [...], [...] ადგილზე აბრუნებენ. [...] „... დაე გაქრეს! შენი ფეხები [...] დაე გაქრეს! [...] ხოლო ურდულის ძელზე, [...] და ურდულის ძელზე [...] რომლის ურდულის ძელზე [...] დებენ. ხოლო (ქალის) თავსაფარს [...] „დაე ურდულის ძელი [...] ადამიანი ვერცხლის ნიჩბით [...] ავსებს. და ასე (ამბობს): [...,] დაე, ისევ აივსოს! [...] დაე, დაიჭიროს! და სამეფო? [...] დედოფალი [...] და ღვთაებებმა წაგიყვანეს. [...] მოძრაობს. ემერს კი [...] იღებენ?]

§8. 65'.- 74'. [...] იარაღს საქორწინო საჩუქრების წინ არჭობს. [...] უსვამს. და ასე [ამბობენ: „...“] *huimpa*²-მ ადგილი შეინარჩუნოს!“ [...] 20 სი]კლისას აკეთებენ. ვერცხლის თასს [...] გაკეთებულია. და გამოხდილი ზეთითაა ავსებული. [...] უშვებენ. და A-TE³-SIG³ *karpudahha*⁴-მცენარე [...] და ის გამოხდილ ზეთში დევს. [...] და ის გზაზე წინ მიდის. [...] ღვინით ავსებენ და მას გარდაცვლილს აჭერინებენ.

წინ.მხ. I (KUB 39.22) *ფრაგმენტულია. წინ.მხ. II* 4' = A II 1

უკ.მხ III (KUB 39.22)

§1. 1.-2. წვავ[...], ერთი ღვინის ჭურჭელი [...].

§2. 3.-9. ხოლო როდესაც [...] იქ დებს [...] ცეცხლს კი [...] იღებენ. და [...] როდესაც იწვის [...] გრძნეული (ქალი) [...] და კრემაციის ად[გილი ...].

§3. 10.-13. და [...] შიგნით [...] 20 [...], [...].

უკ.მხ. IV (KUB 39.22)

§1. 1.-8. [...], [...], [...] ჩარჭობილი [...] დებენ. [...] 10 ჯარისკაცი⁵ [...] და მათ რთავენ. [...] და მის წინ [...] არ არის.

§2. 9.-11. [..., რომდესაც ხათუსაში] დიდი [უბედურება ხდება“,] ... ასე [...].

¹ LU¹MUŠEN.DU(A) - ფრინველებზე დამკვირვებელი მისანი; ძვ. რომში ეს იყო ქურუმი, რომელიც წინასწარმეტყველებდა ფრინველთა ფრენისა და ხმის მიხედვით, იგივე ავგური.

² (GI⁵)*huimpa*- (c.) - (წაგებობის ხის ნაწილი: იატაკი? სახურავი?) (Tischler, 2008:255)

³ A-TE³-SIG - ტრანსლიტერაცია გაუგებარია. ნოსი (Neu E.) ინტერპრეტაციით შესაძლოა იყოს: 2' TÚG'.SIG - „ორი თხელი ქსოვილი“.

⁴ GI⁵ *karpudahha*-, *karpudahha*- რაღაც მცენარეა

⁵ მძიმედ შეიარაღებული მეომარი.

უკ.მხ. IV (KUB 39.29)

- §1. 1.-7. [...] [...] ჯერ არ [...], [...], [...] ქალისკენ [...], [...] აძლევენ. [...], [...] წინ გარბიან [...], [...] თუკი ქალია (დედოფალია გარდაცვლილი) ადამიან[ები]¹...
- §2. 8.-10. [...] გარდაცვლილი კრემაციის ადგილზე [...], [...] კრემაციის ადგილზე [...], [...] მსხვერპლს სწირავენ.
- §3. 11.-14. [მეორე დღის მეორე ფირფიტა. (რიტუალი) არ დასრულებულა [„როდესაც ხათუსაში] დიდი უბედურება ხდება“], [...] ასე [...], [...] ა[რ დასრულებულა.]

მესამე' დღე**წინ.მხ. (KUB 30.15 + KUB 39.11 + KUB 39.19 + KBo 41.26)**

- §1. 1.-6. მესამე' დღეს, როდესაც ინათებს, ქალები კრემაციის ადგილზე ² ძვლების შესაგროვებლად მიდიან. და ისინი ცეცხლს ათი ჭურჭელი ლუდით, ათი ჭურჭელი ღვინით, ათი ჭურჭელი თაფლუჭით³ აქრობენ. ნახევარი მინა და ოცი სიკლის წონის ვერცხლის ერთ ქოთანს გამოხდილი ზეთით სავსეს (იღებენ). და ძვლებს ვერცხლის მაშებით იღებენ. და მათ (ძვლებს) გამოხდილ ზეთიან ვერცხლის (ქოთანში) დებენ. ხოლო (შემდეგ) გამოხდილი ზეთიდან ისინი (ძვლები) ამოაქვთ. და მათ ძირს სელის სუდარაში დებენ. სუდარის ქვეშ კი თხელი ქსოვილი დევს.
- §2. 7.-9. და როდესაც ძვლების შეგროვებას დაასრულებენ, მათ ერთად სუდარაში და (ასევე) თხელ ქსოვილთან ერთად ახვევენ. და მათ ტახტზე ათავსებენ. თუ კი ქალია (დედოფალია გარდაცვლილი), ისინი მას პატარა უზურგო სკამზე ათავსებენ.
- §3. 10.-18. გარდაცვლილი ვინც დაწვეს კრემაციის ადგილზე, იმ კრემაციის ადგილზე გარშემო თორმეტ სქელ პურს ძირს დებენ. სქელ პურებზე „მჭედლის ცხიმიან პურს“ დებენ. ცეცხლი კი ლუდისა და ღვინისაგან უკვე ჩამქრალია. ტახტზე, სადაც ძვლები დევს, იმ ტახტის წინ ქვემოთ მაგიდას დებენ. ცხელ პურებს, GUG-პურებს (და) ტკბილ პურებს გასატეხად აძლევენ. შემდეგ მზარეულები (და) მესუფრეები, პირველად (კერძს)³ (და) წვნიან კერძს დგამენ (მაგიდაზე). ხოლო (შემდეგ) პირველად (კერძს) იღებენ და ყველა ვინც ძვლების შესაგროვებლად (იყო) მოსული, ყველას საჭმელს აძლევენ.
- §4. 19.-20. სასმელს სამჯერ აძლევენ, სამჯერ მისი სულის სადიდებელს სვამენ. სქელი [პური] და დიდი „იშთარის საკრავი“ არაა. (მოქმედებები) კრემაციის ადგილის წინ მთავრდება.
- §5. 21.-24. შემდეგ კი ასე აკეთებენ: კრემაციის ადგილზე შუაში ლედვის, ქიშმიშისა (და) ზეთისხილისგან ადამიანის ქანდაკებას, თუკი ქალია (თუ დედოფალია გარდაცვლილი) [...] რთავენ. ხოლო ხილს, ღვთაებების მარცვლეულს,⁴ (ღვთაების) დამამშვიდებელ საშუალებას,⁵ მარჯვენა ბარძაყს⁷ და ცხვრის მატყლის ბლუჯას (კოცონის) შუაგულში დებენ.
- §6. 25.-28. ხოლო ქანდაკებაზე (კოცონის) შუაგულში ლუდს ასხურებენ. შემდეგ შუაში სქელ პურს, სამ *SĀTU* *hiwaššiwala*-პურს დებენ. გრძნეული (ქალი) სასწორს [იღებ]ს, ერთ (პინაზე) ვერცხლს, ოქროს, და ყველანაირ ძვირფას ქვას დებს, მეორეზე კი თიხას დებს.

¹ სავარაუდოდ, რომელიღაც მომსახურე, რიტუალის შემსრულებელი პირები

² *ukturi-/ wakturi*- მარადიული კოცონი, გვამის დასაწვავი კოცონი, კრემაციის ადგილი

³ წინა კერძი, აპეტაიზერი, (მადის მომყვანი, მადის აღმძვრელი)

⁴ *parhuena-(parhwna-)* c. - მარცვლეულის სახეობა. (ტატიშვილი, 2017:118)

⁵ *galaktar/ kal(l)aktar, galattar* (n.) - (ღვთაების) დამამშვიდებელი/ დამამშვიდებელი საშუალება

⁶ *SĪTU/ŠUTU, (Pl. SĀTU)* - საკვები პროდუქტების მცირე საწყაო ერთეული, = 8,4 ლ. (Tischler, 2008:241)

- §7. 29.-33. გრძნეული (ქალი) მისანს¹ პირისპირ ასე ეუბნება, და (თან) გარდაცვლილის სახელს იძახის: „მოჰყავთ ესა და ეს.² და ვის მოჰყავს?“ მისანი პასუხობს: „ხათელებს (და) ურუხელებს მოჰყავთ!“ ის ეუბნება: „ისინი არ მოიყვანენ!“ მისანი პასუხობს: „ვერცხლი და ოქრო აიღე!“ ის ეუბნება: „არ ავიღებ!“ და სამჯერ ამგვარად ამბობს.
- §8. 34.-36. მესამეჯერზე კი ის პირველი ასე ამბობს: „მე თიხას ავიღებ!“ სასწორს ამტვრევს. და ის მზის ღვთაებისკენ [უჭირავს] და მოთქვამს. (მოტირალი ქალები) გოდებას [იწყებენ.]
- §9. 37.-39. შემდეგ სქელ პურს (და) *hiwaššiwala*-პურს [...] ქანდაკებასთან [(კოცონის) შუაგულში დებენ]. [...] ვინც ძ[ვლები] ..., [...] სქელი პურით იჩოქებს. და სქელ პურს [...]
- §10. 40.-43. [...] (კოცონის) შუაში დებენ. და ამ ხილიან ქანდაკებ[ას ...], [...] და ისე როგორც 10 მინა³ (?) ზემოდან დებენ. [... მიწ]ის მზის ქალღმერთს მსხვერპლად სწირავენ. შემდეგ ნაცარს გამოხდილი ზეთით [...], [...] და ეს არის კრემაციის ადგილი.
- §11. 44.-51. [...] სასახლიდან ორი ხარი (და) თვრამეტი ცხვარი⁴ გაგზავნეს. ისინი ერთ ხარს და ცხრა ცხვარს მიწის მზის ქალღმერთს მსხვერპლად სწირავენ, ერთ ხარს და ცხრა ცხვარს - გარდაცვლილის სულს, [...] ძვლებს იღებენ (ტახტთან ერთად) და ისინი კრემაციის ადგილიდან [გამოაქვთ და ისინი] მის (გარდაცვლილის) აკლდამაში⁵ მიაქვთ. აკლდამაში, შიდა ოთახში⁶ ლოგინს შლიან. ძვლებს ტახტიდან იღებ[ენ]. [და მათ ლოგინზე გაშლილად ალაგებენ. ლამპარს [ოქროსგან/ვერცხლისგან ...] სიკლის (წონის) გამოხდილ ზეთს ძვლების წინ დებენ [...], შემდეგ ერთ ხარს და ერთ ცხვარს გარდაცვლილის სულს მსხვერპლად სწირავენ.
- §12. 52.-53. ბოლოს კი (აკლდამის) შიდა ოთახში, რომელშიც გარდაცვლილია [იქ] ერთ ხარს და ცხრა ცხვარს მსხვერპლად ამგვარად სწირავენ:
- უკ.მხ.** (KBo 41.26 + KUB 32.111 (+) KUB 39.19 (+) KUB 39.12)
KBo 41.26 + KUB 32.111
- §1. 1.-3. ერთ ცხვარს ცის მზის ღვთაებას [...] ღვიძლს ცეცხლზე წვავენ. [...] შემდეგ კი ღვინოს [...]
- §2. 4.-14. ხოლო შემდეგ (ამ დღის) მთავარი ტრაპეზი ცხადდება [...] მაგიდას დგამ[ენ. ...] ტეხენ. [... ერთ ნაჭერ პურს] მიწის მზის ქალღმერთისთვის, ერთ ნაჭერ პურს ცის მზის ღვთაებისთვის, ერთ ნაჭერ პურს წინაპრებისთვის, ერთ ნაჭერ პურს „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღისთვის“, ერთ ნაჭერ პურს მისი (გარდაცვლილის) სულისთვის ტეხენ. და მათ [...] იღებენ. და „ჯარისკაცების პურზე“, რომელიც მაგი[დაზე დევს ...] და (შესაწირის) მცირედს⁷ იღებ[ს. ...] „ჯარისკაცების პური“ დადებულია [...] შემდეგ მესუფრე, მზარეული [...] იღებენ. და [...]
- §3. 15. [და] სასმელს აძლევენ. და [...]
KUB 39.19
1'.-4'. [... მა]გიდა. [...].
KUB 39.12

¹ *ariyašeššar* (n.) (= MÁŠ ; BĪRU) - მისანი

² გარდაცვლილის სახელს ამბობს

³ MA.NA - მინა, წონის ერთეული, დაახლ. 480 გრ. (Tischler, 2008:272).

⁴ სიტყვ.: ორჯერ ცხრა ცხვარი.

⁵ É.NA₄ - (სიტყვ. ქვის სახლი) აკლდამა, სამარხი

⁶ É.ŠĀ - შიდა ოთახი, საძინებელი = *tunnakkiš(n)*; É.ŠĀ É.NA₄ - სამარხი

⁷ *anaḫi*- (n.) - სინჯი, ნიმუში (შესაწირის, უმთავრესად პურის და ხორცის)

- §1. 1"- 6". [...] ... [...], [...] ზემოდან დებენ. და [(მის აკლდამას, ღმერთი რომელ)] (ქალაქშიც) გახდა, იქ აშენებენ. სანამ (ძვლები ამ) [(ქალაქში) ...]. ბოლოს, რომელ ქალაქშიც [...], [...] თუკი მისი (გარდაცვლილის) აკლდამა იმ ქალაქში (უკვე არის), მაშინ მათ (ძვლებს) (სწორედ) იქ [(იმ ქალაქში)] დებენ.
- §2. 7"-14". [...] მის აკლდამაში მოაქვთ. და ასლები¹ უკანასკნელად [...], [...] ძვლებს მეორედ მის აკლდამაში „დამშვიდება(რიტუალის)“ პირველ დღეს [დებენ], [...] დამშვიდებად. და მათ (ძვლებს) (დამშვიდებას) პირველ დღეს საბოლოოდ (აკლდამაში) ათავსებენ. „დამშვიდება(რიტუალი)“ მის აკლდამაში ხდება.² თან [...], [...] შემდეგ ამგვარად (აკეთებენ): სამ ცხიმიან პურს ½ მუჭა თაფლში [...], [...], მარჯვენა ბარძაყი³. და მათ „ჯარისკაცების პურის“ გვერდით აწყობენ. [...], ახვევენ. და მათ აკლდამაში მიაქვთ. [...], ძვლები, რომელიც აკლდამაში შეაქვთ.
- §3. 15"- 21". [და] მიწას თხრიან. ერთი თაფლის შესანახი ჭურჭელი [...], [...] თაფლის შესანახ ჭურჭელში ასხამენ. თაფლი [...], [...] გამოსახულება³ დასამშვიდებად უჭირავთ. [...], [...] დასამშვიდებად უჭირავთ. და [...], [...] ძვლებს, სადაც სუფ[თა საწოლია (იქ) დებენ]. [...] და ის [...], [...] დადეს [...].

მეოთხე დღე

წინ.მხ. (KUB 39.9)

1.-20'. [როდესაც ხათუსაში დ]იდი უბედურება ხდებ[ა], [ან მეფე, ან დედოფალი] ღმერთი ხდება [...], [(მაშინ) ყველა, დიდი (და) პატა]რა თავიანთ თავებს⁷ ი[ფარავენ]ნ⁷ [...], [...], [...] ... [...], [...] დებ[ენ]. [...] მეოთხე დღეს ძვლებს, [...] მეფეს საფუარიანს⁷ აძლევენ. [...] მაღალი თანამდებობის პირები (და) სამხედრო პერსონალი, [...] და მაღალი თანამდებობის პირთა ცოლები, [...], და ყველასთვის სწორი იქნება⁷. [...] მეფე ამგვარად [...] მეფე იბანს. [...] ისვრის. [...] ზის. [...] არ არის. [...] დევს. [...], [...].

უკ.მხ. (KUB 39.9)

1'-20'. [...] სვამს. [...]. [...] მეორე დღეს ამგვარად, [...] მეფე, [...] ხურავენ⁷ [...], [...] გამოცხადებულია. [... იჭ]ერს.

მეხუთე და მეექვსე დღე

გაურკვეველია რა ხდებოდა ამ დღეების განმავლობაში.⁴

მეშვიდე დღე

წინ. მხ. (KUB 30.25 + KUB 39.4 + KBo 41.117)

§1. 1.-6. მეშვიდე¹ დღეს, როდესაც ინათებს, მჯდომარე ქანდაკებას⁵ ხე[ლებით] წყალს აძლევენ. და გამოხდით ზეთს შიგ აწვეთებენ, ქანდაკებას ერთ ნასუქ ხარს (და) რვა ცხვარს

¹ *himma-* (c.) - შემცვლელი, ასლი

² სიტყვ.: *anda ep(p)*

³ *šena-/šina-* (c.) - გამოსახულება, ქანდაკება, ფიგურა

⁴ ტექსტების 450.II.1 (KUB 39.6); 450.II.2 (KUB 39.45) მიხედვით, სავარაუდოდ ამ დღეებში „დამშვიდება(რიტუალი)“ სრულდებოდა.

⁵ ALAM *ašan* (ALAN (იკითხება ALAM)) – მჯდომარე გამოსახულება, მჯდომარე ქანდაკება

მსხვერპლად სწირავენ. [მათგან ერთ] ცხვარს მიწის მზის ქალღმერთს, ერთ ცხვარს წინაპრებს, ხოლო [სამ] ცხვარს და ერთ ხარს გარდაცვლილის სულს, ერთ ცხვარს კი „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღეს“ მსხვერპლად სწირავენ.

§2. 7.-8. როგორც კი ისინი ღვიძლს აბრუნებენ, გარდაცვლილს მოსაკბეჩად¹ აძლევენ.

§3. 9.-21. ხოლო როდესაც მოკბეჩას დაასრულებს, ქანდაკება მოტირალ ქალებს სახლიდან გარეთ გამოაქვთ. და ჩაღას კარიბჭეში წვავენ. ამის შემდგომ წვავენ: ერთ ნაკრებ ძვირფას სადღესასწაულო სამოსს და გამოხდილ ზეთიან ერთ ჭურჭელს. შემდეგ ერთ ხარს და რვა ცხვარს ქვემოთ კლავენ. ერთ ღვინის ჭურჭელს და ერთ ლუდის ჭურჭელს ამტვრევენ. შემდეგ მათ მოტირალი ქალები გარშემო აბრუნებენ.² ერთ ცხელ პურს, ერთ სქელ პურს ყველით მზის ღვთაების წინაშე ტეხენ. და მათ მაგიდაზე დებენ. გრძნეული (ქალი) [გარდაცვლილის] ფერფლს იღებს და სადაც ცხენების თავები (და) ხარების თავები დაწვეს, მას (ფერფლს) იქ ყრ[ის. ...]ებს კი გრძნეული (ქალი) იღებს.

§4. 22.-28. შემდეგ ქანდაკებასთან [მოსაკბეჩად] მოაქვთ. როდესაც კი დღე ხელსაყრელი გახდება, ისინი (დალაქები) გვიან, და (ამ დღის) დიდ ტრაპეზს იწვევენ. [შემდეგ] ქალაქ არინას მზის ქალღმერთის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები ვერცხლით დაფარული დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ. დეკლამატორები იმახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. მერიქიფე ორ ტკბილ უსაფუფრო პურს მაგიდიდან იღებს, მათ ტეხს, და მათ კვლავ მაგიდაზე დებს.

§5. 29.-33. ამის შემდეგ კი ამინდის ღვთაებისა (და) ქალაქ ციფალანდას ამინდის ღვთაების სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ. დეკლამატორები „ახა!“ იმახიან. [სიტყვას კი ჩურჩულებ]ენ. მერიქიფე ორ ტკბილ უსაფუფრო პურს მაგიდიდან იღებს, მათ ტეხს, და მათ უკან მაგიდაზე დებს.

§6. 34.-36. ამის შემდეგ მფარველი ღვთაების სადიდებელს სვამს. [მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით)] მღერაინ. დეკლამატორები „ახა!“ იმახიან. [სიტყვას კი] ჩურჩულებენ. სქელი პური არაა, ცხიმიან პურს [ტეხენ].

უკ.მხ. (KUB 30.25 + KUB 34.68 + KUB 39.4)

§7. 1.-3. ამის შემდეგ კი მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ. დეკლამატორები იმახიან: „ახა!“ ხოლო სიტყვა იგივეა. ერთ ტკბილ სქელ პურს ტეხს და მას (პურს) სულის(თვის) „ჯარისკაცების პურზე“ დებს.

§8. 4.-9. მესამეჯერ კი მისი სულისა და „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღის“ სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ. დეკლამატორები „ახა!“ იმახიან. სიტყვას კი [ჩურჩულებენ]. და ერთ ტკბილ სქელ პურს (და) ერთ მჟავე სქელ პურს ტეხენ. ერთ ტკბილ სქელ პურს. ღვთაებებისთვის „ჯარისკაცების პურზე“ დებს, ერთ მჟავე სქელ პურს კი „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღისთვის“ დებენ „ჯარისკაცების პურზე“. შემდეგ (რიტუალი) მთავრდება.

§9. 10.-15. ცოტას გოდებენ, შემდეგ ჩუმდებიან. როგორც კი დღე ხელსაყრელი გახდება, ისინი (დალაქები) გვიან. და „*halantuwa!*“ იმახის. [მზის ღვთაების (სადიდებელს) ისევე (სვამს). მუსიკოსები] დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ. ის მჟავე სქელ პურს ტეხს და გამოაქვს. ამის შემდეგ კი მფარველი ღვთაების (სადიდებელს სვამს). მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერაინ.] ის მჟავე სქელ პურს ტეხს და გამოაქვს.

¹ ტექსტში სასმელია მითითებული. შესაძლოა მწერლის შეცდომა იყოს, ვინაიდან კონტექსტიდან გამომდინარე უფრო სწორი იქნება იყოს „საკბეჩად, მოსაკბეჩად, საჭმელად“

² ატრიალებენ, ჭურჭლის ნატეხებს ურევენ

- §10. 16.-18. ამის შემდეგ კი მიწის მზის ქალღმერთის (სადიდებელს სვამს). მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. მჟავე სქელ პურს ტეხენ და მას მიწის მზის ქალღმერთისთვის [„ჯარისკაცების პურზე“] დე[ბს.]
- §11. 19.-22. ამის შემდეგ კი მისი სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. [და] ის გარდაცვლილის სახელს იძახის. მერიქიფე ერთ [ტკბილ სქელ] პურს ტეხს. და მას „ჯარისკაცების პურზე“ კერის შიგნით დებს.
- §12. 23.-26. მესამეჯერ კი მისი სულისა და „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღის“ სადიდებელს სვამს. [მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით მღერიან)]. მერიქიფე ერთ [ტკბილ სქელ [პურს] [(და) ერთ მჟავე სქელ პურს ტეხს და ტკბილ სქელ პურს ღვთაებებისთვის „ჯარისკაცების პურზე“ დებს. მჟავე სქელ პურს კი ის „(ღვთაებრივი) სასიკეთო დღისთვის“ [„ჯარისკაცების][პურზე“] დე]ბს.
- §13. 27.-28. და შემდეგ (რიტუალი) მთავრდება. და ისინი (დალაქები) გვიან. შემდეგ მოტირალი ქალები იმ დღეს არ ტირიან. [მეშვიდე დღე მთავრდება.]

კოლოფონი

29. პირველი გრძელი ფირფიტა: „ჩალის დაწვა“ დაუსრულებელია.

მერვე და მეცხრე დღე

წინ.მხ. I (KUB 30.24 + KBo 34.56 + KBo 34.66 + KUB 30.24a + KUB 34.65 + KUB 39.35)

KUB 30.24:

§1. 1.-5. [...] წინ, [...] N ხარები] და N ცხვრები, [...] როდეს]აც [...], [...] აძლე]ვენ [...].

§2. 6.-10. [...] ისინი. [...], [...] ოქროთი დაფარული, [...] მეეტლე [...] უჭირ]ავს [...].

§3. 11.-13. [...], [...] ისინი [...].

KBo 34.56 + KBo 34.66:

§4'. 14.-18. [...], [...], [...] ისინი გარბიან?, [...], [...] კაპარჭი [...].

§5'. 19.-22. [...] ღორის ვერცხლის დინგი (წონით) 10 სიკლი,¹ ვერცხლის აუზი (წონით) 20 სიკლი, თოხი, ნიჩაბი სამ ადგილას ვერცხლით მორთული [...] კეთდება, და მათ [...], შემდეგ (შიგნით) თოთხმეტ კენჭს ყრიან, შიგნით შვიდ – მთის ბროლის ქვას (და) შვიდ – [ბაბილონის] ქვას.

§6'. 23.-29. [...] ვერცხლის აუზს კი ქვემოთ მიწაში [...] დებენ, და (ნამდვილ) აუზს აკეთებენ. და ვერცხლით დაფარულ წყალსადინარ მილს დებენ, და თუ არხი მოკლეა [...], [...] უკან [...] თუ არხი მოკლეა [...].

KUB 30.24a + KUB 34.65 + KUB 39.35:

§7''. 30.-33. [...] ... [...], [...] ასლ[ს აკეთებენ? ...], [...] ხის თოხსა (და) ნიჩაბს [...], [ერთი ჭურჭელი დვი]ნო, ერთი ჭურჭელი ლუდი² [...].

§8''. 34.-39. შემდეგ ერთი ღორი და *ardussa*- ფრინველები [...], ისინი ღორს ვერცხლის დინგს უმაგრებენ, ხოლო ხუთი სიკლის წონის ხუთ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს ხუთ *arta*-ფრინველს უმაგრებენ, შემდეგ ღორს და *arta*- ფრინველებს [აუზში ათავსებენ]. ღორს წყალი გადააქვს,³ ის ასე ამბობს:

¹ GÍN, GÍN.GÍN (= *ŠIQLU*) - სიკლი, დაახლ. 12 გრ.

² *tawal*- (n.) - ლუდის სახეობა

³ აუზში მოთავსებული ღორი სავარაუდოდ დინგით თხრის კედელს და წყალს ამ გზით უშვებს, აძლევის მიმართულებას, *watar nai* – „წყალი გადააქვს“, ანუ აგზავნის გარკვეული მიმართულებით

- §9". 40.-43. „აი! ღორმა წყალი გადაიტანა,¹ [... იყოს თქვენთვის] ხარები, ცხვრები, ცხენები (და) ჯორები დარწყულდნენ!“ ერთ ხარსა და შვიდ ცხვარს აუზის ქვემოთ კლავენ.
- §10". 44.-50. შემდეგ გრძნეული² (ქალი) სამ ცხელ პურზე დებს ერთ სქელ პურს ყველით, და ის სასწორზე მინას³ დებს, გრძნეულს ის (სასწორი) მზის ღვთაების წინაშე უჭირავს და ასე ამბობს: „ო, მზის ღვთაებავ, შეხედე! ჩვენ ეს საქონელი დავკალით, არავინ გაინაწილოს, არავინ განსაჯოს (სასამართლოზე)!“
- §11". 51.-54. შემდეგ დასაჯდომ ეტლზე ქანდაკებას სასმელს აძლევენ, ხოლო მუსიკოსები ცის მზის ღვთაებისთვის [დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან]. მერიქიფე მჟავე სქელ პურს ტეხს, შემდეგ ის [...].
- §12". 55.-60. [ხოლო შემდეგ ერთ ღორს] და ხუთ *arta*- ფრინველებს ორმოში [კლავენ]. [ხოლო მას (ღორს) - ვერცხლის] დინგს ამორებენ. ფრინველებს - ოქროს და [ვერცხლის ჭურჭელს] ამორებენ. და წყალსადინარიდან - [ვერცხლს] ამორებენ. ახარისხებენ, და ისინი [აკლდამაში] მიაქვთ.
- §13". 61.-65. ისინი ლუდის ჭურჭელსა და ღვინის ჭურჭელს ამტვრევენ, ხოლო თოხსა და (ვერცხლით მორთულ) ნიჩაბს წვავენ იმ ადგილას. ნაცარს კი იღებენ, და სადაც ცხენების თავები, ხარების თავები დაწვეს, იქ ყრიან.
- §14". 66.-72. [შემდეგ] ისინი იღებენ ხის თოხსა და ნიჩაბს, და ისინი „მდ[ელოს]⁴ ჭრიან. გრძნეული (ქალი) „მდელოზე“ სქელ პურს დებს. მათ მზის ღვთაების წინაშე უჭირავთ. სა[სწორს] იღებენ. [და მათ მზის ღვთაების წინა]შე უჭირავთ. ის ასე ამბობს:
- წინ.მხ. II (KUB 30.24 + KBo 39.292)**
- §15". 73.-79. „ო, მზის ღვთაებავ, ეს მდელო ჰქმენ სამართლიანი! არავინ გაინაწილოს (და) განსაჯოს (სასამართლოზე)! დაე, ამ მდელოზე ხარები, ცხვრები, ცხენები (და) ჯორები მოვდნენ!“ სადაც ცხენების თავები (და) ხარების თავები დაწვეს, „მდელო“ იქ მიაქვთ, და ისინი იქ ზემოდან აყრიან. გრძნეული (ქალი) კი *ŠĀTU*- ზომის⁴ ერთ სქელ პურს იღებს.
- §16". 80.-85. შემდეგ ისინი დასაჯდომ ეტლზე ქანდაკებას სასმელს აძლევენ. ის მზის ღვთაების სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი ჩურჩულებენ, ღვთაებების მომხმობი⁵ არ იძახის!
- §17". 86.-91. მათ ქანდაკება დასაჯდომი ეტილიდან ჩამოაქვთ, იმ ადგილას კარავი წინასწარ დაიდგა. მათ კარავში შეაქვთ (ქანდაკება), და მას ოქროს ტახტზე სვამენ. თუ კი ქალია (დედოფალია გარდაცვლილი), მას ოქროს პატარა უზურგო სკამზე სვამენ.
- §18". 92.-99. (იმ) დღეს დიდ ტრაპეზს იწვევენ. ყველა მოტირალ ქალს *saramma*-პურს აძლევენ. (სპეციალურად) შემოსილი მერიქიფე (მათ) სასმელს აძლევს. ის მზის ღვთაების, ამინდის ღვთაების, მფარველი ღვთაების, მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს რიგრიგობით შემოვლით ერთხელ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი ჩურჩულებენ, სქელ პურებს ტეხენ.
- §19". 100.-110. შემდეგ კი ის წინაპრების სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი

¹ გადაამისამართა, მიმართულება მისცა

² MUNUSŠU.GI - გრძნეული (ქალი), გრძნეული დედაბერი, მოხუცი ქალი (სხვადასხვა საკულტო-სარიტუალო ფუნქციის მქონე) (= MUNUS^hasawa-). (ტატიშვილი, 2013:110; 2017:57)

³ აქ უნდა იგულისხმებოდეს მიწის ნაჭერი, ტორფის ნაჭერი

⁴ = 8,4 ლ.

⁵ LU¹ *kita*- (c.) - საკულტო-სარიტუალო ტექსტების წარმომთქმელი, ღვთაებების მომხმობი, კულტმსახური

ჩურჩულელებს, სქელ პურს ტეხენ. ხოლო შემდეგ ის სულის სადიდებელს სამჯერ სვამს, მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი ჩურჩულელებს, ღვთაებების მომხმობი არ იძახის! ორ ტკბილ სქელ პურს ტეხენ.

§20^{'''}. 111.-116. ხოლო როცა ის სულის სადიდებელს მესამეჯერ შესვამს, ის ახსენებს „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“, სქელ პურს არ ტეხს, მერიქიფე კი სალიბაციო ჭურჭელს მიწაზე ამსხვრევს, შემდეგ მოთქვამს, შეკრებილები გოდებას იწყებენ.

§21^{'''}. 117.-122. [ქანდაკება კარვიდან] გარეთ გამოაქვთ, [და მას დასაჯდომ ეტლზე] სვამენ, [შემდეგ კი მოტირალი ქალები უკან მიჰყვებიან]. და ის (ქანდაკება) [მიაქვთ. და გოდებენ]. [...] აყენებენ.

§22^{'''}. 123. [...].

უკ.მხ. III (KUB 30.24)

§23^{'''}. 124.-125. [...].

§24^{'''}. 126.-131. [...], [...] „არავინ გაინაწილოს, არავინ განსაჯოს (სასამართლოზე)!“ [...] ღვინო [...] დებს/იღებს.

§25^{'''}. 132.-134. ისინი [...] მოტირალი ქალები [...], ის [...].

§26^{'''}. 135.-138. (იმ) დღეს დიდი ტრაპეხს იწვევენ. ყველა მოტირალ ქალს *saramma*-პურს აძლევენ. (სპეციალურად) შემოსილი მერიქიფე (მათ) სქელ პურებს აძლევს, (ის) მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს (სვამს).

§27^{'''}. 139.-142. [...] სვამს, შემდეგ კი [...], შემდეგ ის [...] სულის სადიდებელს სამჯერ სვამს.

§28^{'''}. 143.-145. [...] ტკბილ ღვინოს სვამს, ისინი [...] ის [...].

§29^{'''}. 146.-151. [...] „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ სასმელს აძლევენ, [...] სქელ პურებს ტეხენ. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი ჩურჩულელებს. [...].

§30^{'''}. 152.-156. [...], ის/ისინი [...], [...], ის/ისინი [...], ის/ისინი [...].

§31^{'''}. 157.-164. [...] შეაქვთ, შემდეგ კი მოტირალი ქალები უკან მიყვებიან, და გოდებენ. [...] კი [...], როდესაც კი დღე ხელსაყრელი გახდება, ის/ისინი [...], ის თასები [...], ის/ისინი [...]

§32^{'''}. 165.-171. [...] ხდება. კარიბჭის შიგნით ისინი ასე აკეთებენ: ხუთ ნახევარ საწყაო¹ ემერს აგროვებენ. თუ კაცია (მეფეა) გარდაცვლილი, ემერის გროვაზე ქანდაკებას ხილით რთავენ, ხოლო თუ ქალია (დედოფალია) გარდაცვლილი, ემერის გროვაზე (მის ქანდაკებასაც) ხილით (რთავენ).

უკ.მხ. IV (KUB 39.35 (+) KBo 34.66)

KUB 39.35:

§33*. 172.-174. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვებს კი ჩურჩულელებს.

§34*. 175.-181. როგორც კი მესამეჯერ ამოტვიფრული ჭურჭლიდან დაბალი ხარისხის ლუდს სასმელად აძლევენ, მერიქიფე [კარაქს/წაღებს?] მსხვერპლად სწირავს, სადღვებელში,² რომელიც შიგნითაა. ხოლო შემდეგ მისი სულისთვის გამომწვარ თიხის თასს ზემოთ ატრიალებს და მას მიწაზე ამსხვრევს, და მოთქვამს, მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ.

¹ *PARĪSU/I* - ნახევარი საწყაო. (Tischler, 2008:232)

² *makkuya* - სადღვებელი, კასრი

§35*. 182.-190. [...] მოტირალი ქალები სადღვებელს [...], [...] ვინცაა (სისხლით) ნათესავი [...] ის იღებს. სადღვებელს ის [...], და ვერცხლის ნიჩაბს ის [...], [...] ამას იღებენ: ვერცხლის ნაჭერს, [...] შევარდენს ვერცხლით დაფარულს. და აქედან? ვინცაა, ი[ს იღებს.]

§36*. 191.-193. [...].

KBo 34.66:

§37**. 194.-196. ზემოთ [...], ის ქვემოთ [...], [...] გოდებენ.

§38**. 197.-198. ფირფიტა [...], [...].

მეათე დღე

წინ.მხ. I (KUB 39.10)

§1. 1.-5. მეათე დღეს, როდესაც ქანდაკება (ისევ) სახლშია (აკლდამაშია), ქანდაკებას სასახლის მსახურები სასმელს ოქროს თასიდან [აძლ]ევენ. შემდეგ ქანდაკებას ერთ ნასუქ ხარს (და) შვიდ ცხვარს მსხვერპლშესაწირად [აძლევენ]: ერთ ცხვარს მიწის მზის ქალღმერთს, ერთ ცხვარს ცის მზის ღვთაებას, ორ ცხვარს წინაპრებს, [ორ ცხვარს] და ერთ ხარს გარდაცვლილის სულს, ხოლო ერთ ცხვარს კი „(ღვთაება) სასიკეთო დღეს“ სწირავენ.

§2. 6.-14. როგორც კი ისინი ღვ[იძლს (აბრუნებენ)], გარდაცვლილს მოსაკბეჩად (საჭმელად) აძლევენ. იმავე ადგილზე კარავი წინასწარ დაიდგა. და ქანდაკება [კარვიდან გარეთ გამოაქვთ და მას დასაჯდომ ეტლზე დებენ. წინ კი [...] უკან კი მოტირალი ქ[ალები მიჰყვებიან და გოდებენ.] და [...] ქანდაკება (ეტლზე ზის) [...] უჭირავთ. და [...] მათ რქებზე [...] და ის [...].

უკ.მხ. IV (KUB 39.10)

§1. 1'.- 9'. [...] დას[რულდა? ...].

§2. 10'.- 11'. ფირფიტა [...] (რიტუალი) არაა დასრულებული. [„როდესაც ხათუსაში დიდი უბედურება ხდ[ება“]. [...].

მეათე და მეთერთმეტე დღე

წინ.მხ. I (KBo 40.178 + KUB 39.14)

§1'. 1.-3. [...] ისინი, [...] ისინი, მიწაზე [ამსხვრევს.]

§2'. 4.-11. შემდეგ გუთანს [ადამიანი ვინც იღებს, ხნულს ერ[თხელ? ა]ნ სამჯერ ავლებს. და ერთ ჭურჭელს [...]. ხნულს უკან [...] და ასე ამბობენ: „გუთანი ვერ აბრუნებს (ხნულს)!“ და მოთქვამს, და მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ.

§3'. 12. -18. ისინი გუთანს ანადგურებენ. და მას იგივე ადგილზე წვავენ. ხოლო ნაცარს გრძნეული (ქალი) იღებს და სადაც ცხენის თავები (და) ხარის თავები დაიწვა მას (ნაცარს) იქ ყრის. ხარებს კი კლავენ, და მათ მზარეულები იღებენ.

წინ.მხ. II (KUB 39.33 + KBo 39.34)

§4'. 19.-24. [...] ქურციკი?, ისინი [...]. ბრინჯაოს შუბს არჭობენ. დაკლულს ბრინჯაოს შუბის წინ დებენ, შემდეგ გარდაცვლილს სასმელს აძლევენ. და მზის ღვთაების სადიდებელს სვამს.

§5'. 25.-29. შემდეგ კი ისინი ერთ ცხელ პურს, ერთ სქელ პურს ყველით ტეხენ. ლუდის ერთ ჭურჭელს ამტვრევენ. და სასწორს იღებენ, და მზის ღვთაების წინაშე [...], [...].

KUB 39.14 + KBo 40.178 + KBo 40.311:

§6". 30.-34. [...], [...] იღებენ. შემდეგ ისინი ცარიელ ლუდის ჭურჭლებს, ღვინის ჭურჭლებს, *tawal*-ჭურჭლებს, თაფლუჭის¹ ჭურჭლებს, [...] (და) კევრს² ამტვრევენ.

§7". 35.-38. შემდეგ არფას,³ ხის [(ინსტრუმენტს?) ...] იმ ადგილზე წვავენ, ხოლო ნაცარს იღებენ. და სადაც ხარის თავები (და) ცხენის თავები დაიწვა, მას (ნაცარს) იქ ყრიან.

უკ.მხ. III (KUB 39.14 + KBo 40.311 + KUB 39.33 + KBo 39.34)

KUB 39.14 + KBo 40.311:

§8". 39.-48. კევრს ვინცაა ის [...], [...] იღებს, ხარებს კი, რომლებიც შემბულია, ისინი კლავენ. (მათ) მზარეულები იღებენ. რქებს და ვერცხლის *aramn*⁴-ს რომელსაც ისინი იღებენ (დაკლული ხარებისგან), და ბრინჯაოს *aramni* აკლდამაში მიაქვთ. ხოლო ლერწმის ისარი და საწმისი⁵ მიაქვთ. ისინი [...], და გროვას [...].

KUB 39.33 + KBo 39.34:

§9"". 49.-50. მათ ჭიმკრიდან მოაქვთ, და ისინი გარდაცვლილის მარჯვნივ [...] ასე [...] აღმართავენ.

§10"". 51.-55. (ტრაპეზი) ცხადდება. შემდეგ ის თასებით ამგვარად შემოივლის: ის მზის ღვთაების, ამინდის ღვთაების, მფარველი ღვთაების, მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს რიგრიგობით შემოვლით ერთხელ სვამს, შემდეგ კი მისი სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. და ის „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ უხმობს.

უკ.მხ. IV (KUB 39.14)

§11"". 56.-69. „მისი კევრი არავინ დაინაწილოს! და ის არავინ განსაჯოს (სასამართლოზე)! და ის არავინ [...]“ ქანდაკება დასაჯდომი ეტლიდან გადმოაქვთ და ის კარავში შეაქვთ. მას ვერცხლის ტახტზე სვამენ, თუკი ქალია (დედოფალია), მას პატარა უზურგო ოქროს საკმზე სვამენ. (იმ) დღეს დიდ ტრაპეზს იწვევენ. და ამ ღვთაებებს (ამგვარად) შემოივლის: ის მზის ღვთაების, ამინდის ღვთაების, მფარველი ღვთაების, მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს რიგრიგობით შემოვლით (ერთხელ) სვამს, შემდეგ კი მისი სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. სამგზის კი „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ უხმობს. [...].

მეთორმეტე და მეცამეტე დღე

წინ.მხ. I (KUB 30.19 + KUB 30.20 + KUB 30.21 + KUB 30.22 + KUB 39.7)

§1. 1.-4. მეთორმეტე დღეს, როდესაც ინათებს, ქანდაკება ისევ სახლშია (აკლდამაშია). ისინი ქანდაკებას ერთ ნასუქ ხარს და შვიდ ცხვარს სწირავენ, ერთ ცხვარს მიწის მზის ქალღმერთს, ერთ ცხვარს ცის მზის ღვთაებას, ორ ცხვარს წინაპრებს, ორ ცხვარსა და ერთ ნასუქ ხარს გარდაცვლილის სულს, ერთ ცხვარს კი „(ღვთაებრივ) სასიკეთო დღეს“ სწირავენ.

§2. 5.-10. ხოლო შემდეგ ისინი იღებენ ღვიძლს, და გარდაცვლილს მოსაკბეჩად აძლევენ. მათ ქანდაკება სახლიდან (აკლდამიდან) გამოაქვთ. და მას დასაჯდომ ეტლზე სვამენ. შემდეგ კი მოტირალი ქალები უკან მიჰყვებიან და გოდებენ.

§3. 11.-12. ხოლო „დედა-ვაზი“ [...] წინასწარ გასუფთავებული მოიტანეს.

¹ *walḫi-/walaḫḫi-* (n.), *walḫiyant-* (c.) (= KAŠ.LĀL) - თაფლუჭი (?). (ტატიშვილი, 2017:115)

² *šartuliyā-* (c.) (?) - კევრი. (ტატიშვილი, 2017:103)

³ ^{GIS}BALAG.(DI) - არფა ან ქნარი (= ^{GIS}*arkam(m)ī-*). (ტატიშვილი, 2013:27; Tischler, 2008:241)

⁴ ლითონის საკულტო საგანი სამისნო ფრინველის გამოსახულებით⁷

⁵ ^{KUŠ}*kursā/i-* (c.) (?) - საწმისი, ტყავი, ტყავის ჩანთა? (Tischler, 2008:267; ტატიშვილი, 2017:178)

⁶ *irḫai-* (I, med.-pass.) - ღვთაებების შემოვლა მსხვერპლშეწირვით; *arḫai-/irḫai-* წრის დარტყმა; შემოვლა

- §4. 13.-17. შემდეგ ისინი ვაზის ფესვს სარტყელს გარსახვევენ, შემდეგ მას (ვაზს) ყურძნით, (სხვადასხვა) ხილის მტევნებით, სქელი მატყლის მტევნებით რთავენ. შემდეგ მას ზემოთ სწევენ, და მოტირალ ქალებს კარავში შეაქვთ, და მას გარდაცვლილის მაგიდაზე დებენ.
- §5. 18.-21. ოქრო-ვერცხლით დაფარული მაგიდა¹ კი წინასწარაა მოტანილი. შემდეგ ის სხურებულა. შემდეგ [...] ამტვრევენ. ყურძენი, მტევან[ი ...] ლუდის ტკბილი, ბორბლების (ფორმის) ცომი [...] ერთი ნაკრები ძვირფასი სადღესასწაულო სამოსი, ერთი გამომწვარი თიხის ჭურჭლით გამოხდილი ზეთი [...] მაგიდაზე ქვემოთ აწყვია. [...].
- §6. 22.-28. შემდეგ ყურძენზე ღვინოს ასხამენ. და [...], და მაგიდაზე [...] მატყლს [...]. მტევანი, სარტყელი [...]. ისინი მაგიდაზე ერთ ხარსა და შვიდ ცხვარს კლავენ. შემდეგ მათ [...] მზარეულები იღებენ. და ვაზი(ც) მიაქვთ.
- §7. 29.-37. თუ ზამთარია, [...] *hapustiya*- სასმელს ასხამენ, თუ [...] ბევრს მოვენ². პირველი [...] მიედინება. გამომწვარი თიხის თასი ჩამოაქვთ. [...] მიედინება. ისინი გარდაცვლილს აძლევენ. [...] ერთ GUG²-პურს (და) ერთ ყველს სასახლის მსახური [...]
- §8. 38.-43. სასწორზე [...] მზის ღვთაების წინაშე [...] „ო, მზის ღვთაებავ, ეს [...] მას, და ის (არავინ) გაინაწილოს, არავინ განსაჯოს (სასამართლოზე)!“ [...].
- §9. 44.-48. ისინი ქანდაკებას დასაჯდომი ეტლიდან იღებენ. და ის კარავში შეაქვთ. და მას ოქროს ტახტზე სვამენ. თუკი ქალია (დედოფალია გარდაცვლილი), მას პატარა უზურგო ოქროს სკამზე სვამენ.
- §10. 49.-54. დიდი ტრაპეზი მოწვეულია. ის მზის ღვთაების, ამინდის ღვთაების, მფარველი ღვთაების, მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს რიგრიგობით შემოვლით ერთხელ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ის სქელ პურს ტეხს.
- §11. 55.-59. შემდეგ კი წინაპრებს საჭმელად აძლევენ. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ის სქელ პურს [ტეხს].
- §12. 60.-63. შემდეგ კი მისი სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას ჩურჩულებენ.
- §13. 64.-69. როგორც კი ისინი მის სულს სასმელს მესამეჯერ აძლევენ, მაგიდას რეცხავენ. ისინი ვერცხლს (და) ოქროს აშორებენ. და ისინი (ოქრო და ვერცხლი) აკლდამაში შეაქვთ. მაგიდას კი (შუაზე) აპობენ, და მას კერაში დებენ.
- §14. 70.-74. შემდეგ ერთი ნაკრები ძვირფასი სადღესასწაულო სამოსი, ერთი გამომწვარი თიხის თასით გამოხდილი ზეთი გარდაცვლილთან მიაქვთ. შემდეგ კერაში დებენ (ძვირფასს სამოსს), და გამოხდილ ზეთს ასხამენ. მაგიდაზე რაც იდო - ერთი ჭურჭელი ღვინით და ერთი ჭურჭელი ლუდით, - მათ ამტვრევენ.
- §15. 75.-80. შემდეგ ადამიანი ვინც მისი (გარდაცვლილის) ოჯახის წევრია³, 20 სიკლის წონის ვერცხლის ცულს იღებს და ვაზს ჭრის, შემდეგ მერიქიფე ლითონის სალიბაციო ჭურჭელს მიწაზე ამსხვრევს, და მოთქვამს. მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ.
- §16. 81.-84. ხოლო ვაზს სარტყელთან ერთად კერაში დებენ. მოტირალი ქალები ცეცხლს გარს ეხვევიან. ხოლო ვინც ვაზი მოჭრა, ის ვერცხლის ცულს იღებს.
- §17. 85.-89. მათ ქანდაკება კარვიდან გამოაქვთ და მას დასაჯდომ ეტლზე სვამენ. მოტირალი ქალები უკან მიჰყვებიან. ისინი ატარებენ მას (ქანდაკებას) და გოდებენ.

¹ GIS *tarše*- (c.) – მაგიდა, მაგიდა². (Tisler, 2008:192, 241, 256)

² NINDA.GUG - პარკოსანი/ჭოტოსანი მცენარისაგან დამზადებული ან მისი ნაყოფით შეზავებული პური

³ ŠA MÁŠ, ŠÁ.MÁŠ - ნათესავი, ოჯახის წევრი

წინ.მხ. II (KUB 39.7)

§18. 90.-92. [...].

§19. 93.-95. ამასობაში მზარეულები [...], მოტირალ ქალებს კი (სასახლიდან გაცემული პურის) ულუფას აძლევენ, მეთორმეტე დღე დასრულდა: (რიტუალი) „ვაზის მოჭრა“.

§20. 96.-105. მეცამეტე დღეს სახლში (გარეული) იხვის¹ ასლს აკეთებენ. ათი (გარეული) იხვი ხისგანაა გაკეთებული. მათ ვერცხლისაგან რთავენ. ხუთი (გარეული) იხვის თავი ოქროთი ირთვება. ათი (გარეული) იხვი სქელი მატყლითაა გაკეთებული. ათი (გარეული) იხვი ცომისგანაა გაკეთებული. ისინი (ერთად) ოცდაათი (გარეული) იხვია. ცოცხალია ან ოთხი¹ (გარეული) იხვი, ან ექვსი¹ (გარეული) იხვი. თუკი (გარეული) იხვის სეზონი არაა, ისინი კაკბებს² იჭერენ.

§21. 106.-107. ისინი ორ ყუთს გატეხილი პურებითა (და) ყველით ავსებენ, ხოლო ყველა ხილი კი - ლეღვი, ქიშმიში, ზეთისხილი, სეზამი, ვაშლი, გარგარი - ერთმანეთშია არეული.

§22. 108.-111. ცოცხალ (გარეულ) იხვებს კი მორთულ (გარეულ) იხვებს აბამენ, [...] სქელი მატყლით პატრუქს აკეთებენ. [...] მისი სული რომელი იარაღი (არის)? მათ (გადაბმულ ჩიტებს) (იარაღის) დახმარებით [...].

§23. 112.-117. შემდეგ მათ ფანჯრიდან შიგნით ორჯერ იჭერენ. ხოლო როდესაც მათ შიგნით მესამედ დაიჭერენ, ასე ამბობენ: „თქვენ ხართ (გარეულ) იხვთან ერთად [...], [...] და თქვენ იყავით!“ [...] არ არის.

§24. 118.-123. ისინი [...], [...] სქელი მატყლისგან. [...]. და ისინი მათ [...] და მოთქვამს, [მოტირალი ქალები] გოდებას იწყებენ.

§25. 124.-129. [...] ქანდაკებას წვავენ. და (გარეულ) იხვებს [...]. ვერცხლი (და) ოქრო აკლდამაში შეაქვთ. [...] (გარეულ) იხვებს და ცოცხალ (გარეულ) იხვებს [...] ქანდაკებასთან წვავენ. [...] (გარეულ) იხვებს მუხაზე აბამენ და ისინი მათ იქ წვავენ.

§26. 130.-131. მუხა, რომელზედაც (გარეული) იხვები [...] შეაქვთ აკლდამაში.

§27. 132.-142. ისინი ყველას დევნიან.³ და (დალაქები) გვიან. (იმ) დღეს დიდი ტრაპეზი მოწვეულია. მოტირალ ქალებს (სასახლიდან გაცემული პურის) ულუფას აძლევენ. და მათ (სპეციალურად) შემოსილი მერიქიფე სასმელს აძლევს. როდესაც ის დიდ ტრაპეზზე თასებს წრიულად ჩამოატარებს, მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერავენ. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. სქელ პურებს ტეხენ. ღვთაებების მომხმობი არ იძახის.

§28. 143. მოტირალ ქალებს ორი მუხა მოაქვთ.

§29¹. 144.-146. კერის ერთ მხარეს ორი გროვა და მეორე მხარეს ორი გროვა და შუაში ორი გროვა ადრე (იყო) დაწყობილი. სადაც ისინი ერთ ყველს და ერთ ტკბილ სქელ პურს დებენ, ოთხი გროვის წინ ქვემოთ კი ხილს - ლეღვს, ქიშმიშს, ზეთისხილს, სეზამს, ვაშლს, გარგარს, ორცხობილას დებენ.

უკ.მხ. III (KUB 34.66 + KUB 39.7 + KBo 34.57 + KBo 38.173 + KBo 39.148 + KBo 40.22)

§30¹. 147.-153. შემდეგ ქანდაკებას ბოძებ⁴ აღმართავენ, და მას მოოქროვილ ტახტთან ერთად (ბოდის) შუაში დგამენ. ვაზს კერაში ყრიან. შემდეგ კერასთან ერთ ნასუქ ხარს (და) რვა ცხვარს გარდაცვლილის სულს მსხვერპლად სწირავენ. და მათ კლავენ. შემდეგ ღვიძლსა და გულს² [წვავენ] და გარდაცვლილის სულს მოსაკბეჩად აძლევენ.

¹ *lah(h)ant-/lah(h)anza/i-/lah(h)anzan(a)*- (MUŠEN) (c.) - (წყლის ფრინველი) იხვი² გედი² თოლია²

² MUŠEN *HURRI* - მისი ხვრელის/სოროს ჩიტი (= კაკაბი/მწყერი)

³ = გარეთ უშვებენ

⁴ (GIŠ) *kurakki*- (c.) - ბოძი, სვეტი. (ტატიშვილი, 2017:32)

- §31'. 154.-163. შემდეგ გამოხდილი ზეთით *kunganil*¹-ჭურჭელი კერის ქვემოთ იდგმება. [...], ვაზს გამოხდილ ზეთს მსხვერპლად სწირავენ. გარდაცვლილს სასმელს აძლევენ. ის მისი სულის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ტკბილ სქელ პურს ტეხენ და ისინი მას, გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ.
- §32'. 164.-169. შემდეგ კი მისი სულის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ტკბილ სქელ პურს ტეხენ და ისინი მას, გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ.
- §33'. 170.-178. შემდეგ კი ისევ გარდაცვლილის სულის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ტკბილ სქელ პურს ტეხენ. და ისინი მას, გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ, შემდეგ გარდაცვლილის სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ. შემდეგ მოტირალი ქალები ჩუმდებიან.
- §34'. 179.-188. შემდეგ ვაზზე გამოხდილ ზეთს ასხამენ. შემდეგ გარდაცვლილის სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ტკბილ სქელ პურს ტეხენ. ისინი მას, გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ. სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ. შემდეგ მოტირალი ქალები ჩუმდებიან.
- §35'. 189.-197. შემდეგ ვაზზე გამოხდილ ზეთს ასხამენ. შემდეგ გარდაცვლილის სულის სადიდებელს სამჯერ სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) იგივენაირად მღერიან. დეკლამატორები იგივენაირად იძახიან: „ახა!“ სიტყვას იგივენაირად ჩურჩულებენ. სამ ტკბილ სქელ პურს ტეხენ. და ისინი მას, გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ. მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ. შემდეგ ისინი ჩუმდებიან.
- §36'. 198.-204. ხოლო ცხრაჯერ „(გალმერთებული) დღის“ სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. ტკბილ სქელ პურს (და) მჟავე სქელ პურს ტეხენ. ის ტკბილ სქელ პურს გარდაცვლილის სულს „ჯარისკაცების პურზე“ უდებს. ხოლო მჟავე სქელ პურს კი „(გალმერთებულ) დღეს“ „ჯარისკაცების პურზე“ უდებს.
- §37'. 205.-210. შემდეგ კი ის მიწის მზის ქალღმერთის სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. მჟავე სქელ პურს ტეხენ. და მას მიწის მზის ქალღმერთს „ჯარისკაცების პურზე“ უდებენ.
- §38'. 211.-216. შემდეგ ის წინაპრების სადიდებელს სვამს. მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. დეკლამატორები იძახიან: „ახა!“ სიტყვას კი ჩურჩულებენ. მჟავე სქელ პურს ტეხენ. და მას წინაპრებს „ჯარისკაცების პურზე“ უდებს.
- §39'. 217.-220. სანამ ღამეს ათევენ, ამგვარად სწირავენ მსხვერპლს. გამოხდილ ზეთს კერაზე ასხამენ და ისინი (რიტუალს) ამთავრებენ.

¹ ზეთის შესანახი ჭურჭელი

- §40'. 221.-226. შემდეგ კი ისინი გარდაცვლილის სულის სადიდებელს სვამენ. ერთი მერიქიფე კერის გვერდით ერთ მხარეს დგება, მეორე მხარეს ერთი მერიქიფე დგება. დოქით¹ ღვინო უჭირავთ. როდესაც გარდაცვლილის სულის სადიდებელს სვამს, (მაშინ) მერიქიფე კერის ორივე მხრიდან (ღვინოს) მსხვერპლად სწირავს.
- §41'. 227.-229. ხოლო შემდეგ „ჯარისკაცების პურს“ დებენ, და მისი (გარდაცვლილის) ქანდაკების მუხლებზე დებენ. და ის (პური) ადამიანს მის (ქანდაკების) მუხლებზე უჭირავს.
- უკ.მხ. IV (KUB 30.19 + KUB 30.20 + KUB 39.7)**
- §42'. 230.-232. და ასე ამბობენ: „შეხედე, შენს ფეხებთან „ჯარისკაცების პური“ დავაწყვეთ. მომავალში ნუ განგვირისხდები!
- §43'. 233.-239. (დაე,) შენს შვილებს კეთილდღეობა ჰქონდეთ! (დაე,) შენი სამეფო თაობების მანძილზე მარადიული იყოს! (ასეც) მოხდება! შენი საკულტო ტაძარი (მუდამ) მნიშვნელოვანი იქნება! და რიტუალი შენთვის (ყოველთვის) შესრულდება!“ შემდეგ ამ დღეს მესუფრეები *arpamar*-პურსა (და) ხილს გარდაცვლილის წინაშე ქვემოთ აწყობენ.
- §44'. 240.-248. როგორც კი ფეხებთან (დაკავშირებული რიტუალი) დასრულდება, მათ (წყალმცენარისგან დაწნული) თოკი მოაქვთ. ის გამოხდილ ზეთს უსვამს და კერაში ადებს. და შიგნით ფქვილით ავსებენ. მოტირალი ქალები ასე ტირიან: „როდესაც მდელოზე წახვალ, თოკს ნუ გაჭიმავ! და აღსრულდება ნება შენი!“
- §45'. 249.-254. ხოლო როდესაც ღამით (ერთი) *waksur*² (გამოხდილი ზეთი) რჩება. მათ *lelhuntai*-ჭურჭელი მოაქვთ. და ისინი ქანდაკების წინ კერაზე დგამენ. და ასხამენ. *haraspawant*-პურს (და) *talū*- პურს აკეთებენ. და მათ ქანდაკების წინ დებენ.
- §46'. 255.-258. და კერაზე რომელზეც გროვა იყო. ისინი *haraspawanti*-პურს ზემოდან აყრიან და ასე ამბობენ: „დაე, ესენი (ყველანაირი პური) შენთვის სასიკეთო იყოს!“
- §47'. 259.-265. როდესაც დასხმას მორჩებიან. მათ *lelhuntai*-ჭურჭელი მიაქვთ. მესუფრე ქანდაკებას სასმელს აძლევს, და მისი სულის სადიდებელს სვამს, მუსიკოსები დიდი „იშთარის საკრავის“ (თანხლებით) მღერიან. სქელ პურს ტეხენ. და მას [...].
- §48'. 266.-270. ხოლო როდესაც მესუფრე გამომწვარ თიხის თასს მისი სულისთვის ატრიალებს. მიწაზე ამსხვრევენ. *lelhuntai*-ჭურჭელს *tarsanzip*³-ადგილის უკან მიწაზე ამსხვრევენ და მოთქვამს, მოტირალი ქალები გოდებას იწყებენ.
- §49'. 271.-273. კარავი, რომელიც სახლში (აკლდამაში) იყო გაშლილი, იღებენ, და კარიბჭის შიგნით დებენ.
- §50'. 274.-275. „როდესაც (ქალაქ) ხათუსაში უბედურება ხდება“, ამ ფირფიტაზე მეთორმეტე დღე - „ვაზის მოჭრა“ (და) მეცამეტე დღე - „(გარეული) იხვები“ დასრულდა.

¹ DUG.HAB.HAB^{UB} (/KUKKUBU) - დოქი ან მისთ. გამოიყენებოდა ლიბაციისას

² *waksur* (n.) - ლითონის საწყაო ჭურჭელი. (ტატიშვილი, 2017: 89)

³ ადგილი ტაძარში; ბაქანი, პლატფორმა, ოთახი ან შირმა, რომელიც ტაძარში შესასვლელს გამოჰყოფდა ტაძრის საკულტო ოთახისგან/ოთახებისგან

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

- ახუაშვილი, ნ., (2007). ხეთური დაკრძალვის რიტუალი და პარალელები ქართულ სამყაროსთან. „ასირიოლოგია, ბიბლესტა და კავკასიოლოგია საზოგადოების შრომები 3“. თბილისი.
- ბერიაშვილი, მ., (1982). დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მომბე“. XXXVI-B. მეცნიერება. თბილისი.
- ტატიშვილი, ი., (2005). ხეთების რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე. ვერა ბარდაველიძისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი. 256-262.
- ტატიშვილი, ი., (2012). ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 7:T. „ლოგოსი“. თბილისი.
- ტატიშვილი, ი., (2013). ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრამები. თბილისი.
- ტატიშვილი, ი., (2017). ქართულ-ხეთური ლექსიკონი. თბილისი.
- Bittel, K., Herre W., Otten H., Röhrs M., Schaeuble J. (u.a.), (1958). Die hethitischen Grabfunde von Osmanakayasi (=Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gesellschaft, 71). Berlin.
- Christmann-Franck, L., (1971). ‘Le rituel des funéraires royales hittites’, RHA 29. 61-111.
- Cognetti, Ch., (2021). Totenkult und Ahnenverehrung im hethitischen Anatolien. (Vorstellungen, Rituale und Institutionen). Heft 32. Heidelberg.
- Groddek, D., (2001). Mausoleum (É.NA₄) und Totentempel (É_hištā) im Hethitischen. UF 33. 213-218.
- Gurney, O., (1966). The Hittites. 164-170.
- Haas, V., (1994). Geschichte der hethitischen Religion. Handbuch der Orientalistik 1/15. Brill.
- Haas, V., (1995). Death and Afterlife in Hittite Thought. In: Jack M. Sasson (Hrsg.), Civilization of the Ancient Near East. 2023-2027.
- Hoffner, H.A., (1988). A Scene in the Realm of the Dead. A Scientific Humanist. Studies in Memory of Abraham Sachs. Philadelphia. 191-199.
- Kapeluś, M., (2008). Some remarks on Hittite royal funerary ritual *sallis wastais* (Texts from Building A on Büyükkale). Studi micenei ed egeo-anatolici (SMEA), Vol. 50, N^o 1, Warsaw. 449-456.
- Kapeluś, M., (2010). Good death, bad death on the Hittite attitude towards death. Acts of the VIIth International Congress of Hittitology. Volume I. 431-439.
- Kassian, A., Korolöv, A., Sidelt'sev, A., (2002). Hittite Funerary Ritual: *šalliš waštaiš*. AOAT 288, Münster.
- Klengel, E., (1970). Die Hethiter. München. 155-164.
- Narimanishvili, G., Shanshashvili, N., Narimanishvili, D., (2018). Die Trialeti-Kultur-Das Leben, der Tod und die Prozessionsstraßen in die Ewigkeit. Gold & Wein. Georgiens älteste Schätze. Archäologisches Museum Frankfurt. 203-360.
- Neve, P., (1993). Hattusa – Stadt der Gotter und Tempel. Mainz am Rhein.
- Otten, H., (1940). Ein Totenritual hethitischer Könige - In: MDOG (Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft) 78. 3-11
- Otten, H., (1958a). Hethitische Totenrituale. Akademie-Verlag. Berlin.
- Otten, H., (1958b). Bestattungssitten und Jenseitsvorstellungen nach den hethitischen Texten - In: Bittel, K. (u.a.): Die hethitischen Grabfunde von Osmanakayasi (=Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gesellschaft, 71). Berlin.
- Otten, H., (1959). Eine Lieferungsliste zum Totenritual der hethitischen Könige. Die Welt des Orients (WdO). Bd. 2, H. 5/6. 477-479
- Otten, H., (1962). Zu den hethitischen Totenritualen, OLZ 7. 230-234.

- Otten, H., Souček V., (1969). Ein althethitisches Ritual für das Königspaar. Studien zu den Bogazköy-Texten, Heft 8. Wiesbaden.
- Puhvel, J. Hittite Etymological Dictionary (HED). Berlin/New York /Amsterdam, Vol.1: A; Vol. 2: E, I (1984); Vol. 3: H (1991); Vol. 4: K (1997); Vol. 5: L (2001); Vol. 6: M (2005); Vol. 7: N (2007); Vol. 8: PA (2011); Vol. 9: PE, PI, PU (2013); Vol. 10: SA (2017).
- Rutherford, I., (2007). Achilles and the Sallis Wastais Ritual: Performing Death in Greece and Anatolia. Chicago. 223-236.
- Seeher, J., (1993). Körperbestattung und Kremation – ein Gegensatz? In:Istanbuler Mitteilungen 43, 219–26.
- Seeher, J., (2015). Wo sind die Toten der Hethiter? Überlegungen zum Fehlen von spätbronzezeitlichen Bestattungsplätzen in Zentralanatolien, in: A. Müller-Karpe - E. Rieken - W. Sommerfeld, Saeculum: Gedenkschrift für Heinrich Otten anlässlich seines 100. Geburtstags, StBo-T 58. Wiesbaden. 229-238.
- Tischler, J., (2008). Hethitisches Handwörterbuch. Mit dem Wortschatz der Nachbarsprachen. 2., erweiterte und verbesserte Auflage.
- van den Hout, Th. P. J., (1994). Death as a Privilege: The Hittite Royal Funerary Ritual. In Hidden Futures: Death and Immortality in Ancient Egypt, Anatolia, the Classical, Biblical and Arabic-Islamic World, edited by J. M. Bremer, T. P. J. van den Hout, and R. Peters. 37-76. Amsterdam: Amsterdam University Press.
- van den Hout, Th. P. J., (1995). An Image of the Dead? Some Remarks on the Second Day of the Hittite Royal Funerary Ritual, in O. Carruba-C. Mora-M. Giorgieri (a cura di), Atti del II Congresso Internazionale di Hittitologia, Pavia 28 giugno – 2 luglio 1993, Pavia, 195-211.

REFERENCES

- akhuashvili, n., (2007). kheturi dak'rdzalvis rit'uali da p'aralelebi kartul samqarostan. „asiriologta, bibleist'ta da k'avk'asiologta sazogadoebis shromebi 3“. tbilisi. [Akhuashvili, N., (2007). Hittite funeral ritual and parallels with the Georgian world. "Proceedings of the Society of Assyriologists, Biblicists and Caucasologists 3". Tbilisi.]
- beriaashvili, m., (1982). dak'rdzalvis rit'uali khetebtan. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis “moambe”. XXXVI-B. metsniereba. tbilisi. [Beriaashvili, M., (1982). Burial ritual among the Hittites. "Moambe" of the State Museum of Georgia. XXXVI-B. Science. Tbilisi.]
- t'at'ishvili, i., (2005). khetebis religiuri rts'mena-ts'armodgenebi saikio tskhovrebaze. vera bardavelidzisdmi midzghvnili k'rebuli. tbilisi. 256-262. [Tatishvili, I., (2005). Religious beliefs of the Hittites - ideas about the life of the Hittites. Collection dedicated to Vera Bardavelidze. Tbilisi. 256-262.]
- t'at'ishvili, i., (2012). khetur-kartuli leksik'oni. nak'veti 7: t. “logosi”. tbilisi. [Tatishvili, I., (2012). Hittite-Georgian dictionary. Plot 7:T. "Logos". Tbilisi.]
- t'at'ishvili, i., (2013). khetur-kartuli leksik'oni. nak'veti 9: shumerogramebi. tbilisi. [Tatishvili, I., (2013). Hittite-Georgian dictionary. Plot 9: Sumerograms. Tbilisi.]
- t'at'ishvili, i., (2017). kartul-kheturi leksik'oni. tbilisi. [Tatishvili, I., (2017). Georgian-Hittite dictionary. Tbilisi.]

- Bittel, K., Herre W., Otten H., Röhrs M., Schaeuble J. (u.a.), (1958). Die hethitischen Grabfunde von Osmanakayasi (=Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gesellschaft, 71). Berlin.
- Christmann-Franck, L., (1971). 'Le rituel des funéraires royales hittites', RHA 29. 61-111.
- Cognetti, Ch., (2021). Totenkult und Ahnenverehrung im hethitischen Anatolien. (Vorstellungen, Rituale und Institutionen). Heft 32. Heidelberg.
- Groddek, D., (2001). Mausoleum (É.NA₄) und Totentempel (Éḫištā) im Hethitischen. UF 33. 213-218.
- Gurney, O., (1966). The Hittites. 164-170.
- Haas, V., (1994). Geschichte der hethitischen Religion. Handbuch der Orientalistik 1/15. Brill.
- Haas, V., (1995). Death and Afterlife in Hittite Thought. In: Jack M. Sasson (Hrsg.), Civilization of the Ancient Near East. 2023-2027.
- Hoffner, H.A., (1988). A Scene in the Realm of the Dead. A Scientific Humanist. Studies in Memory of Abraham Sachs. Philadelphia. 191-199.
- Kapeluš, M., (2008). Some remarks on Hittite royal funerary ritual *sallis wastais* (Texts from Building A on Büyükkale). Studi micenei ed egeo-anatolici (SMEA), Vol. 50, N^o 1, Warsaw. 449-456.
- Kapeluš, M., (2010). Good death, bad death on the Hittite attitude towards death. Acts of the VIIth International Congress of Hittitology. Volume I. 431-439.
- Kassian, A., Korolöv, A., Sidelt'sev, A., (2002). Hittite Funerary Ritual: *šalliš waštaiš*. AOAT 288, Münster.
- Klengel, E., (1970). Die Hethiter. München. 155-164.
- Narimanishvili, G., Shanshashvili, N., Narimanishvili, D., (2018). Die Trialeti-Kultur-Das Leben, der Tod und die Prozessionsstraßen in die Ewigkeit. Gold & Wein. Georgiens älteste Schätze. Archäologisches Museum Frankfurt. 203-360.
- Neve, P., (1993). Hattusa – Stadt der Gotter und Tempel. Mainz am Rhein.
- Otten, H., (1940). Ein Totenritual hethitischer Könige - In: MDOG (Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft) 78. 3-11
- Otten, H., (1958a). Hethitische Totenrituale. Akademie-Verlag. Berlin.
- Otten, H., (1958b). Bestattungssitten und Jenseitsvorstellungen nach den hethitischen Texten - In: Bittel, K. (u.a.): Die hethitischen Grabfunde von Osmanakayasi (=Wissenschaftliche Veröffentlichungen der Deutschen Orient-Gesellschaft, 71). Berlin.
- Otten, H., (1959). Eine Lieferungsliste zum Totenritual der hethitischen Könige. Die Welt des Orients (WdO). Bd. 2, H. 5/6. 477-479
- Otten, H., (1962). Zu den hethitischen Totenritualen, OLZ 7. 230-234.
- Otten, H., Souček V., (1969). Ein althethitisches Ritual für das Königspaar. Studien zu den Boğazköy-Texten, Heft 8. Wiesbaden.
- Puhvel, J. Hittite Etymological Dictionary (HED). Berlin/New York /Amsterdam, Vol.1: A; Vol. 2: E, I (1984); Vol. 3: Ḫ (1991); Vol. 4: K (1997); Vol. 5: L (2001); Vol. 6: M (2005); Vol. 7: N (2007); Vol. 8: PA (2011); Vol. 9: PE, PI, PU (2013); Vol. 10: SA (2017).
- Rutherford, I., (2007). Achilles and the Sallis Wastais Ritual: Performing Death in Greece and Anatolia. Chicago. 223-236.
- Seeher, J., (1993). Körperbestattung und Kremation – ein Gegensatz? In: Istanbuler Mitteilungen 43, 219-26.
- Seeher, J., (2015). Wo sind die Toten der Hethiter? Überlegungen zum Fehlen von spätbronzezeitlichen Bestattungsplätzen in Zentralanatolien, in: A. Müller-Karpe - E. Rieken - W. Sommerfeld,

- Saeculum: Gedenkschrift für Heinrich Otten anlässlich seines 100. Geburtstags, StBo-T 58. Wiesbaden. 229-238.
- Tischler, J., (2008). Hethitisches Handwörterbuch. Mit dem Wortschatz der Nachbarsprachen. 2., erweiterte und verbesserte Auflage.
- van den Hout, Th. P. J., (1994). Death as a Privilege: The Hittite Royal Funerary Ritual. In *Hidden Futures: Death and Immortality in Ancient Egypt, Anatolia, the Classical, Biblical and Arabic-Islamic World*, edited by J. M. Bremer, T. P. J. van den Hout, and R. Peters. 37-76. Amsterdam: Amsterdam University Press.
- van den Hout, Th. P. J., (1995). An Image of the Dead? Some Remarks on the Second Day of the Hittite Royal Funerary Ritual, in O. Carruba-C. Mora-M. Giorgieri (a cura di), *Atti del II Congresso Internazionale di Hittitologia*, Pavia 28 giugno – 2 luglio 1993, Pavia, 195-211.